№ 10

შაბათი, 26 თებერვალი.

1877—1905

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 10

შაბათი, 26 თებერვალი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონის № 922

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სურათები და ილლუსტრაციები.

გაზეთის ფასი: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.**

სახაზინო თეატრი.

ანტრეპრ. საიმპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

შაბათს, 26 თებერვალს, ორი წარმოდგენა: დილით ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

„ნ ე რ ო ნ ი“,

ოპერა 4 მოქ. 6 სურ,. მუსიკა რუბინშტეინისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ ნნი: დიმიტრიევა-პოსაკოვსკაია, ტომკევიჩი, ტულლერი, ბუნაკოვა, ხარიტონოვა; ბ-ნი: დონსკოი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი. კაპელმეისტერი: ეიხენვალდი, უფრ. რეჟისორი: გეცევიჩი. დასაწყისი დილის $12^1/_2$ საათზე. საღამოთი—1) „ალეკო“, 2) „მანდარინის შვილი“ და „ბოშური სიმღერები“ დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ბილეთები იყიდება. გამგე კელლერი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. ყ ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანახოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

გ. ა. თარხანოვი—$7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. იღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და ღამის—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ახლად გახსნილი

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა

„შ რ ო მ ა“

(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)

იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

ქართული თეატრი.

გუშინწინ დასრულდა ქართულ წარმოდგენების სეზონი სახაზინო თეატრში. ეს პირველადაა, რომ ქართულ სათეატრო დასმა მთელი სეზონი სახაზინო თეატრის სცენაზე გაატარა. წარმოდგენებს განაგებდა და დასს ნივთიერად პატრონობას უწევდა ეხრედ წოდებული „ქართულ დრამის ამხანაგობა“, რომელიც შარშან დაარსდა. ჩვენ არ ვიცით დაახლოვებით და საფუძვლიანად ამ „ამხანაგობის“ შრომა-მოღვაწეობა და ამიტომ ამ საგანზე გადაჭრით ამჟამად არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ამ «ამხანაგობის» მოქმედების აწონ-დაწონვასა და კრიტიკას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ქართულ დრამატიულ დასის გადაბარგვა სახაზინო თეატრში სულ სხვა მხრით არის უფრო საინტერესო და ყურადღების მისაქცევი.

უეჭველია, მკითხველს ახსოვს, თუ რა მიზეზმა აიძულა ჩვენი არტისტები,—სახაზინო თეატრში დაეწყოთ მუშაობა და გაემართათ ქართული სცენა. ქართული თეატრის შენობა, რომელშიც იმართებოდა ამდენხანს ქართული წარმოდგენები, ისე დაძველებული ყოფილა, რომ ლამობს ჩამონგრევას. ერთ მხარეზე კედელი ისე დაღრეცილია, რომ შარშან ადმინისტრაციამ, უბედურების შიშით, ვერ სცნო შესაძლებლად ნება დაერთო წარმოდგენების გამართვისა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ისეთი სიფხიზლე და ფხა გამოიჩინა, რომ შენობის ისეთი მდგომარეობა და ადმინისტრაციის მოსალოდნელი განკარგულება იმ დროს გაიგო, როცა სეზონი უნდა დაწყებულიყო. ადმინისტრაცია თხოულობდა,—შეაკეთეთ შენობა და მხოლოდ მერე შეგიძლიანთ შიგ უშიშრად შეხვიდეთო. მაგრამ მაშინ, ფულიც რომ ყოფილიყო, დრო აღარ იყო შეკეთებისა. ჩვენი არტისტები გადმოიბარგნენ სახაზინო თეატრში.

სწორედ ბედმა გაუღიმა ბ-ნ დონსკოის, რომელიც ოპერის ანტრეპრენიორია და სახაზინო თეატრში ოპერებს მართავს. ოპერებზე წელს ისე ცოტა ხალხი დადის, რომ ანტრეპრენიორს მღერისთვის აღარ სცხელა,—სულ ჯიბესა და საფულეზე ფიქრი უხდება. რა კი ნახა, რომ ჩვენ ბინა აღარ გვქონდა, შენობის ქირა ზორბად იანგარიშა და ქართულ წარმოდგენების გამმართველ „ამხანაგობას“ თეატრი დიდ ფასში მიაქირავა. ამ სახით მთელი სეზონის შემოსავალი თითქმის სულ ქირად წავიდა და ქართული დასი ცარიელ-ტარიელი დარჩა. ვალს ვალი მოემატა, ხოლო ქართული ხელოვნება, მიუხედავად კარგის დეკორაციებისა, მაღლა არ აწეულა და არ გაუმჯობესებულა...

კარგი, როგორც იყო, სეზონი გათავდა, მაგრამ ეხლა საფიქრი და საზრუნავი ისაა, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე შემდეგისათვის. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში დარჩენა არ შეიძლება. დღეს შეგვიშვეს ფულით სახაზინო თეატრში, მაგრამ ხვალ და ზეგ, შეიძლება, არც ფულით და არც უფულოდ აღარ შეგვიშვან. მაშინ როგორ უნდა მოეწყოს ქართული სცენის ბედი, როგორ უნდა მიეცეს ქართულ წარმოდგენებს შეუწყვეტელი მიმდინარეობა? ჩვენ სულ იმას გაიძახით,—ვიღვიძებთ, თვითცნობიერება გვემატებაო, და ნუ თუ იმის შენარჩუნება მაინც ვეღარ უნდა მოვახერხოთ, რაც წინად შეგვიქმნია და დღემდის ვაი-ვაგლახით მოგვითრევია?

ქართული თეატრის შენობის დაკეტვა,—თუნდაც დროებითი—ისე უმნიშვნელო საგანი არაა, როგორც, იქნება, ზოგიერთებს ჰქონიათ. ეს თეატრის შეფერხების მომასწავებელია. რომ კიდეც მოგვაქირაონ შემდეგ სეზონში გარეშეებმა თავიანთი სახლები წარმოდგენებისათვის, მაინც ეს არ იქნება ჩვენთვის სასარგებლო და ხელსაყრელი. ჩვენ ისე დიდი საზოგადოება არა გვყავს ქალაქში, რომ შემოსავლით შეიძლებოდეს დიდი ქირის გასწორება და არტისტების დაკმაყოფილებაც. ხოლო არტისტი, რაც უნდა ტრაბახა და ფანტაზიორი იყოს იგი, მაინც ადამიანია და ვერ გასძლებს უჭმელად. თუ თავის ხელობის წყალობით ვერავითარ სახსარს ვერ მოიპოვებს, იძულებული გახდება სცენას თავი დაანებოს, სადმე მუდმივი სამსახური მოსძებნოს და გაჩინოვნიკდეს. და მაშინ გაუმჯობესდება თუ არა ქართული სათეატრო საქმე, ამას ყველა ადვილად მიხვდება და წარმოიდგენს.

საკუთარი შენობა აუცილებლად საჭიროა ქართულ თეატრისათვის. მართალია, ამას დიდი ფული უნდა, მაგრამ ეს გარემოება არ უნდა გვაშინებდეს, თუ ჩვენში იქნება ეროვნული სიყვარული და ცნობიერება. აგერ უზარმაზარი შენობა იმართება სათავად აზნაურო სკოლისათვის ღარიბ ქართველების ფულითა და მეცადინეობით და, თუ ეს მოხერხდა, ქართულ თეატრისთვის შენობის აგებაც არ იქნება მოუხერხებელი.

მაგრამ ეს მაინც მერმისის საქმეა, რადგან, რაც უნდა ვეცადოთ, ახალ შენობის დაწყება და დამთავრება ერთსა და ორს წელიწადში არ შეიძლება, ხოლო მანამდის ყოვლად შეუწყნარებელი იქნება უთეატროდ დავრჩეთ და მერმისის მოლოდინში აწმყო დავივიწყოთ.

ამიტომ ჯერ-ჯერობით აუცილებლად საჭიროა შეკეთდეს ის შენობა, სადაც ამდენხანს ქართული წარმოდგენები იმართებოდა. იგი ეკუთვნის ქართველ თავად-აზნაურობას, რომელიც ზნეობრივად ვალდებულია ყოველი საშუალება იღონოს, რომ შემდეგ სეზონში მაინც ქართულ დრამატიულ დასს არ მოუხდეს ალმა-დალმა სირბილი და გარეშეებისაგან ბინის და თავშესაფარის თხოვნა. ქართველ თავად-აზნაურობას აქვს საშუალება და შეუძლია კიდეც შენობის შესაკეთებლად საჭირო ხარჯების გაწევა.

მხოლოდ საჭიროა, საქმე არ დახანდეს და დროზე შეუდგნენ შენობის შეკეთებასა და შესწორებას.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

24 თებერვალი.

ლონდონი, 24 თებ. (რეიტერი). ჩერჩილმა საზოგადოებათა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია და გასაჯსადა, რომ დიდ-ბრიტანეთის [illegible] [illegible]ხებს მთავრობითი ბაჟით. მთავრობამ, ცხარე კამათის შემდეგ, შეიწყნარა წინადადება (შენიშვნა სააგენტოსი: ეს დეპეშა დამახინჯებულია ტელეგრაფის მიზეზით. ცნობები მოვითხოვეთ).

ჰააგა, 23 თებ. (ვოლფი). ოფიციალურად ნაუწყებია, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა ვანლინდენა სამსახურს თავი დაანება. გარეშე საქმეთა სამინისტროს დროებით მართვა-გამგეობა ჩააბარეს საზღვაო მინისტრს ელდისს.

ოდესა, 23 თებ. შარშან ფოსტაში მომხდარ აფეთქების საქმე გაირჩა. ბრალდებოდა ბესარაბიის საგუბერნიო ერობის ტეხნიკურ განყოფილების საქმის მწარმოებელს ბუხალოს, რომ იმან გაჰგზავნა 30550 მან. პაკეტი, რომელმაც იფეთქა. ექსპერტები ამოწმებენ, პაკეტში პიროქსილინი ყოფილაო. ბუხალომ აღიარა დანაშაული და განაცხადა შემდეგი: „მინდოდა ყურადღება მიმექცია მთავრობისა; მე გამოვიგონე თვით-მოძრავი ნაღმი, შევადგინე პროექტი და გავუგზავნე საზღვაო უწყებას, მაგრამ ჩემი გამოგონება ჯეროვნად ვერ დააფასეს. ჩემ მიერ გამოგონილ თვით-მოძრავ ნაღმით მოსალოდნელი იყო მთელის ფლოტის გადარჩენა. სასამართლოში წაიკითხეს ქაღალდი საზღვაო სამინისტროსი, სადაც ნათქვამია,—ბუხალოს პროექტს ეტყობა ნიჭი ავტორისა; მაგრამ ზოგიერთი ნაწილი შეუმუშავებელია. კარგად რომ გავსინჯოთ ეს საგანი საზღვაო ნაღმების პრაქტიკის მხრით, შესაძლოა ბუხალოს მგირთვასი იარაღი ეძლევა ფლოტისათვისო. ბუხალო გაამართლეს.

მოსკოვი, 22 თებ. დღეს მოსკოვის საგუბერნიო კრება არ შესდგა. გადასდეს სესსია. 10 მარტისთვის მოსკოვში მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი რომელთაც ავადმყოფ და დაჭრილ ჯარისკაცთა შესახებ უნდა მოილაპარაკონ.

პარიზი, 42 თებ. მეთაურ წერილში „ტანი“ ამტკიცებს, ვითომც რუსეთის მიერ ხელის აღება კორეაზე მოასწავებს ამ ქვეყნის იაპონიის მიერ ჩანთქმას.

ლონდონი, 24 თებ. გუშინ რუსეთის ელჩმა ბენკენდორფმა ლორდ ლანსდოუნს ჩააბარა 65000 გირვანქა სტერლინგი დაჭრილ და დაზარალებულ მეთევზეთა სასარგებლოდ. ჰულის შემთხვევის საქმე დაბოლოვდა.

პეტერბურგი, 24 თებ. დღეს სასამართლო პალატაში გაირჩა აპელაციით გადმოტანილი ხვილი ორლოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლის სტახოვიჩისა, რომელიც თავად მეშჩერსკის ბრალსა სდებს, გაზეთში ცილის წამებაზე. პალატამ მეშჩერსკი გაამართლა.

გროდნა, 24 თებ. 21 თებერვალს რევოლვერით მოკლულ იქმნა ქალაქ ბელოსტოკში მაზრის უფროსი ელჩინი. მკვლელი გაიპარა.

მილანი, 24 თებ. იტალიის და ავსტრიის კონსულებს ტუეში თავს დაერწნ ავაზაკები და გაძარცვეს. კონსულებმა პროტესტი განაცხადეს ადგილობრივ მთავრობის წინაშე. იუწყებიან, რომ სან-მარკოში შეტაკება მოხდა სისხლის ღვრით ჯარსა და სოფლელთა შორის, რომლებიც აქციზის გაუქმებას თხოულობენ.

პარიზი, 24 თებ. პრესსანსემ, დეპუტატ-სოციალისტმა, აუწყა დელკასეს, რომ აზრად აქვს აღძრას საკითხი ჩინეთის ნეიტრალიტეტის შესახებ. რადგან ბალტიის ესკადრა მადაგასკართან იმყოფება, საფრანგეთი ვალდებულია უჩვენოს, რა პრინციპით და საქმითაც წმიდად ასრულებს თვის ვალდებულებას ნეიტრალიტეტის შესახებ. საჭიროა საფრანგეთმა მოურიდებელი და საწყენი საქმე არ ჩაიდინოს, რათა საბაბი არ მისცეს სხვებს სამდურავის თქმისა და სახიფათო რამ არ შეემთხვასო. საფრანგეთმა უნდა თავიდან აიცილოს სახიფათო მდგომარეობა, რომელშიც შეიძლება ჩავარდეს, ბრძოლა რომ მოუხდეს რუსის ფლოტს იაპონიის ესკადრასთან, რადგან მაშინ საფრანგეთი ვერავის დაემდურება მეზობლად ბრძოლის ატეხაზე.

ალჟირი, 24 თებ. რუსეთის ტრანსპორტი „კურონია“ გუშინ აქ მოვიდა სასმელ-წყლისთვის და საღამოს ისევ გაუდგა გზას.

კიევი, 24 თებ. ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა მოსთხოვა ქალაქის თავს, საბჭომ აარჩიოს კომისია რომელსაც დაევალოს შუამდგომლობის აღძვრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, სახელმწიფო წესწყობილების განკარგების შესახებ ხალხის საკეთილდღეოდ. მასვე დაევალება გარკვევა და შემუშავება, იმისი თუ რა საძირკველზე უნდა იყოს აშენებული ქალაქის მართვა-გამგეობა.

ვლადივოსტოკი, 24 თებ. მოსვლა ვლადივოსტოკში აკძალულია. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ამურის ოლქის გუბერნატორის ან კომენდანტისა. სამოქალაქო უწყებაში მოსამსახურეთ უნდა ჰქონდეთ საბუთიანი ქაღალდი, რომ სამსახურის გამო მოდიან ვლადივოსტოკს. ვისაც არ ექმნება ასეთი მოწმობა, სადგურ მანჯურიაში გაჩერდა უკან დასაბრუნებლად.

ლოძი, 24 თებ. გუშინ საღამოს ვიღამაც რევოლვერით მოჰკლა ქალაქის მოდარაჯე.

ბერლინი, 24 თებ. რეიხსტაგის მიერ არჩეულმა ბიუჯეტის კომისიამ დასტური გამოსთქვა კანონპროექტის შესახებ, რომელიც ორ წლად ამოკლებს ჯარში სამსახურს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

24 თებერვალი.

მუკდენი, 23 თებ. დილის 11 საათი. სამი დღეა ცხარე ბრძოლაა მუკდენის დასავლეთად. რუსები სტოვებენ შახეს პოზიციებსა და მდ. ხუნხეზე მარცხენა ფრთედის სიმაგრეებს და ბანაკდებიან მუკდენზე მომავალ იაპონელთა პირის-პირ. მუკდენის ჩრდილოეთით იაპონელები აწვებიან უნპუნტუნს და უახლოვდებიან რკინის გზას სამ ვერსზე. იაპონელების ყუმბარები რკინის გზამდე აღწევს.

ლონდონი, 24 თებ. სამხედრო საქმის მცოდნე დოქტორი მილლერ მაგაერი ესაუბრა გაზ. «დეილი მეილ»-ის თანამშრომელს. მილლერ მაგაერი ურჩევს ინგლისის პრესსას, კუროპატკინის უკან დახევაზე ზომიერება იქონიოს და ისე ილაპარაკოს. მანძილი, რომელიც კუროპატკინმა განვლო ხაიჩენიდან, იმაზე დიდი არაა, რაც სტრასბურგიდან პარიზამდე. აუჩქარებელი უკან დახევა—გამარჯვებაა რუსებისა. ამ ხერხით რუსები იტყუებენ იაპონელებს და თვითონ-კი ბაზას უახლოვდებიან. იაპონელებმა რომ 7 თვის განმავლობაში მანძილი განვლეს ამ ომში, გერმანელებმა 1870 წელს ამდენ მანძილს მხოლოდ 7 კვირა მოანდომეს და დაამარცხეს მეცთან 173,000 კაცი, ხოლო ტყვედ წაიყვანეს სედანთან—83,000 კაცი. პრუსიელებმა 1866 წელს ბოჰემიის ულრან მთებში შვიდის კვირის განმავლობაში გაიარეს 200 მილი და დაამარცხეს ავსტრიელები, თუმცა ფრანგებსა და ავსტრიელებს, შედარებით, კუროპატკინზე გაცილებით დიდი უპირატესობა ჰქონდათ, სახელდობრ—თავიანთ ქვეყანაში ომობდნენ და სურსათ-სანოვაგე თავზე საყარად ჰქონდათ.

მუკდენი, 24 თებ. ნაშუადღევის 1 საათი და 30 წუთი. გუშინ იაპონელებმა შეუტიეს რუსების პოზიციებს მუკდენის ჩრდილოეთად. დილით ბრძოლა იყო საიმპერატორო სასაფლაოს ჩრდილოეთ-დასავლეთად, სოფ. პატიაზასთან მოკლულ იქმნა პოლკოვნიკი ზაპოვსკი. ჩვენმა მოწინავე ჯარმა სოფელი მიატოვა. იაპონელებმა დილით იერიში მიიტანეს სანტაიძზე, საიმპერატორო სასაფლაოს ჩრდილოეთით. ამ დილით ბრძოლას განაგრძობენ. იაპონელთა სამხრეთ შუბლის მოწინავე ჯარი მივიდა ხუანშანამდე. ამ ჟამად გაფართოვებული სროლაა.

ჩიტა, 24 თებ. საჩქაროდ მოითხოვეს ხარბინიდან, რომ ქსენონში რაც შეიძლება მოუმატონ საწოლ ადგილებს. ამის გამო 23 თებერვალს მოჰხდა მკურნალთა კრება. კიევის ქსენონმა 30 აფიცრისთვის მოუმატა ადგილი, დანარჩენებმა გადასწყვიტეს ყოველ ოთხი დღის შემდეგ 3500 ადგილს მოუმატონ 30%. მოელიან უკანასკნელ ბრძოლებში უამრავ დაჭრილთა მოყვანას.

გენერალ ოკუს ლაშქარი, 23 თებ. იაპონელთა მარცხენა ფრთედის მემარცხენე რაზმმა ლიკამპუსთან სასტიკი ბრძოლა აუტეხა რუსებს, რომელნიც სამჯერ მეტნი იყვნენ. ლიკამპუ-ხუნხეს სამხრეთად 7 მილზე მდებარეობს და რკინის გზიდან დასავლეთით—5 მილზე. ზარალი—10,000 კაცამდეა.

ნიუ-ჩუანი, 24 თებ. იაპონელები ძალას ატანენ ჩინელებს, რომ 450 ტონა ბრინჯი გადაზიდონ სინმინტინში. უარის თქმაზე ემუქრებიან რკინის გზის დაჭერას. ჰფიქრობენ, რომ იაპონელებს სურთ ჯერ შეიტყონ, რა გრძნობით უყურებენ მათ ჩინელები. დღეს იაპონელებმა ხელთ იგდეს ტელეგრაფის სადგური სინმინტინში.

ოკუს ლაშქარი, 22 თებ. დღეს იაპონელებმა ორჯერ მიიტანეს იერიში ხუნხეს და რკინის გზის მთა ადგილებში. რუსები მედგრად იბრძოდნენ და დასწვეს 12 სოფელი. ნაშუადღევს აღმოჩნდა, რომ რუსის ჯარი ჩრდილოეთისკენ გაემართა; არ იციანა, უკან დახევაა ეს თუ მაშველ ჯარს სადმე ჰგზავნიან. ნაშუადღევს მარჯვენა ფრთე მარცხენა ლაშქრისა გაემართა გაშლილ მინდვრით მუკდენისკენ. (რეიტერი).

პარიზი, 24 თებ. „ტანი“ მეთაურ წერილში ამტკიცებს, ვითომც რუსეთის მიერ ხელის აღება კორეაზე მოასწავებდეს მის ჩანთქვას იაპონიის მიერო.

ტოკიო, 24 თებ. (რეიტერი). გუშინ ბრძოლა ყველგან გათავდა იაპონელების გამარჯვებით, რომლებმაც განდევნეს რუსები ძლიერი პოზიციებიდამ. ღამით კუროპატკინი იძულებული შეიქმნა უკან დაეხია. იმ მიდამოებში, სადაც ოკუს ლაშქარი იბრძოდა, აკრებელი დარჩა 8000 მოკლული რუსი. სხვა ლაშქრებმა სამჯერ მეტად აზარალეს რუსები. იაპონელების ზარალი 50,000 კაცამდინ ადისო. ორთავ მხარეს 100,000 კაცზე გაცილებით მეტი დააკლდა. დაწვრილებით ამბავი ჯერ არ მოდის. მუკდენი ჯერ რუსების ხელშია. დაიჭირეს რა მაჩუნგტანი, იაპონელებმა ტიტიდანაც განდევნეს რუსები. ოიამამ ბრძანება გასცა და ჯარს უკრძალავს მუკდენში შესვლას, ავალებს ყველას, პატივის-ცემით მოეპყრონ იმპერატორის საგვარეულო სასაფლაოს და მშვიდობიანობა დაიცვან მცხოვრებლებში. იაპონია ჰგზავნის ჩიფუს გზით რუსეთში 2500 დაჭრილ პორტ-არტურელს.

ტოკიო, 24 თებ. თუმცა ჯერ გარკვეული არაა, რამდენად გაიმარჯვა იაპონიის ჯარმა, ტოკიო მაინც დღესასწაულობს ბრძოლის მოგებას და დიდ ამბავშია. ქუჩებში ხალხი გაზეთების საგანგებო გამოცემებს იტაცებს, სამხედრო სამინისტროსა და მთავარ შტაბს გამარჯვების მოლოცვას უძღვნის. ოფიციალურ ცნობებს, რითი გათავდა ბრძოლა, დღეს მოელიან.

ნიუ-ჩუანი, 24 თებ. (რეიტერი). ორშაბათ ღამეს ხუნხუზები მოულოდნელად თავს დაეცნენ რუსების ერთ მზვერავ რაზმს. 22 მოკლეს და ორიც ტყვედ წაიყვანეს. გუშინ ხუნხუზების ბრბო, რომელშიც 200 ცხენოსანია და 100 ქვეითა, დაბანაკდა სინმინტინის გარშემო და იაპონელთა დროშები აღმართა. ორი ტყვე-რუსი შუაში გამოიყვანეს, გახადეს წელამდის და ხელებ შეკრულები ჯალათს მიჰგვარეს, უზარ-მაზარ კაცს, რომელსაც 6 ფუტი სიმაღლე ჰქონდა. ამოიღო ღიმილით ხმალი და ერთს დაჩოქილ ტყვეს თავი მოჰკვეთა. მეორე შეებრძოლა ჯალათს, მაგრამ იმან წააქცია და მოკლა. ბრბოს უფროსი გულ-გრილად უცქეროდა ამ სანახაობას. ბრბომ მოკლულები დასტოვა და მოშორდა სინმინტინს.

ლონდონი, 24 თებ. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა: თებერვლის 24-ს იაპონელთა რაზმმა განდევნა რუსები მაძიატუნის მიდამოებიდან და მოერეკა შახეზე, რკინის გზის აღმოსავლეთით. რადგან რუსებმა რყევა დაიწყეს, ამიტომ იაპონელებმა თებერვლის 22-ს საერთო იერიშების მიტანა დაიწყეს. რკინის-გზის დასავლეთიდან მოყოლებული და ხუნხეს მარცხენა ნაპირები დაიპყრეს იაპონელებმა, მარჯვენა ნაპირზე, იასიტუნის და ლუწამპუს ახლოს რუსები ჯერჯერობით მედგრად იბრძვიან. მათი მრავალი სატევი იერიში უკუქცეულ იქმნა დიდის ზარალით. იაპონელები თანდათან მუკდენს უახლოვდებიან. მუკდენის ჩრდილოეთით რუსები თავგამოდებით ებრძოდნენ იაპონელებს, მაგრამ ვერა-რას გახდნენ და სამიდუნი დაუთმეს იაპონელებს, მუკდნიდან ერთის 6 მილზე ჩრდილოეთ-დასავლეთით.

(ღამის დეპეშა იხ. მეოთხე გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. ეს რამდენიმე დღეა, რაც მუკდენის მიდამოებში (უფრო კი დასავლეთით) რუსები და იაპონელები ერთმანეთს დაეტაკნენ. ეს ბრძოლა საბოლოო უნდა ყოფილიყო. ეს იაპონელებსაც ესმოდათ და რუსებსაც. რუსები რომ დამარცხებულიყვნენ, უკან დასახევი გზა აღარ ექნებოდათ და საქმე ძალიან გაჭირდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც იყო, რომ ორივე მხარე გაცხარებული იყო და გამწვავებით იბრძოდნენ. იაპონელები რკალივით შემოერტყნენ რუსებს აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. დარჩა მხოლოდ ჩრდილოეთი და იაპონელებიც სწორედ იმას ცდილობდნენ, რომ რუსებისთვის ჩრდილოეთიდანაც შემოევლოთ და შუაში მოემწყვდიათ. კუროპატკინი თავის დეპეშებით მხოლოდ იმას იუწყებოდა, რომ აქა და აქ იაპონელების იერიშები მოვიგერეთ და ამდენი და ამდენი იაპონელი დავატყვევეთო. ოიამა კი სწერდა, რუსებს ესა და ეს პოზიცია წავართვით და ეხლა კი ამა და ამ პოზიციას ვართმევთო. 22 თებერვლამდე რუსები თუმცა ადგილ-ადგილ უკან იხევდნენ, მაგრამ თავის ცენტრიდან დახევას თითქო არც კი აპირობდნენო, ხოლო იმისთვის, ვინც ამ ბრძოლის ვითარებას თვალ-ყურს ადევნებდა, ცხადი იყო, რომ კუროპატკინი დიდ ხანს ვერ იჯიუტებდა და, დღეს თუ ხვალ, ჩრდილოეთისკენ დაიძვრებოდა. აგრეც მოხდა.

23 თებერვალს დილით რუსეთის მთელი ჯარი დაიძრა და თავის შველას ლამობს. იაპონელები გაჩქარებით სდევნიან და ცდილობენ გზა მოუჭრან.

ტოკიოდან იუწყებიან, 23 თებერვალს გენ. კუროკის ჯარმა რუსების მარცხენა ფრთე დაამარცხა და ეხლა ფეხდა-ფეხ მისდევსო. დეპეშაში აღნიშნული არ არის, დამარცხებული ჯარი ლინევიჩისა იყო თუ რენენკამფისა. თუ იაპონელებმა ლინევიჩის ჯარი გოუტულინთან დაამარცხეს და გოუტულინის ქედი წაართვეს, იაპონელებს ძალიან გაუმარჯვნიათ, რადგან გოუტულინიდან რამდენიმე დღის შემდეგ იაპონელები ფუშუნში ავლენ და რუსების მთავარ ბანაკს მიადგებიან. თუ ეს გამარჯვება მაძიატუნთან ერგოთ, უფრო უარესი, რადგან აქედან იაპონელები პირდაპირ ფუშუნის გზაზე გავლენ და გოუტულინთან მდგომ რუსების რაზმს გზას მოუჭრიან. მაგრამ ყველაზე უარესი კუდიაძია, რენენკამფის განაპირა პოზიცია. ამ პოზიციიდან ინპანამდე (ინპანიდან მეორე გზა მიდის ტელინში) მხოლოდ 30—35 ვერსია. იაპონელებს შეუძლიანთ, ეს გზა 1—2 დღეში გაიარონ, რუსების მარცხენა ფრთეს (ლინევიჩისა და რენენკამფის ჯარებს) გზა მოუჭრან, ფუშუნისაკენ დაახევინონ და მუკდენთან მიჰქლიტონ. ამ შემთხვევაში რუსებს უკან დასახევად მხოლოდ ერთი გზა-ღა დარჩებათ—მუკდენის და ტელინისა.

კუროკის ჯარიდან 22 თებერვალს იუწყებოდნენ, ვოიტოშანის მიდამოებშიაც გაცხარებული ბრძოლააო. ვოიტოშანი მდებარეობს ხუანშანის ქედის (ეს ქედი იმ გზას იცავს, რომელიც ფინლიაპუდან მუკდენისაკენ მიდის, პუტილოვის გორის აღმოსავლეთით) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ამ გზით იაპონელებს წინ წაუწევიათ, ხუანშანამდე ასულან და რუსების ცენტრს [illegible]. იაპონელების მეორე რაზმმა, ნოძუს მარცხენა ფრთემ ხანჩენპუ (რკინის გზის სადგური) აიღო და რუსების ცენტრს დასავლეთიდან მოუარა. ეს იყო მიზეზი, რომ რუსები შედრკნენ და რაკი დაინახეს, რომ იმათი უკანასკნელი იმედი—ცენტრი დაღუპულია, დაიძრნენ და ჩრდილოეთისკენ მოდიან. იაპონელებიც ფეხ-და-ფეხ მოსდევენ.

ბრძოლის ბედი მაინც სინმინტინის რაზმმა (გენ. ნოგის ჯარმა) გადასწყვიტა. რკინის გზის დასაცავად რუსებმა თავის ფრონტი შესცვალეს და მადიაპუდან დაწყებული (მდინარე ხუნხედან) სანტაიძამდე (მუკდენის ჩრდილოეთით, რკინის გზის მახლობლად) დიდ-ძალი ჯარი გაამწკრივეს. იაპონელებიც მუკდენსა და რკინის გზისკენ სამის გზით წავიდნენ: მარცხენა ფრთე სადგურ ტაშიჩაოდან წავიდა და ბრძოლის შემდეგ რუსებს უკან, მუკდენისაკენ დაახევინა. ცენტრი სოფელ სიაომიტუნიდან წავიდა. მარჯვენა ფრთე გაცხარებით იანსისტუნთან იბრძოდა. რუსებმა იაპონელების ცენტრის გარღვევა სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ და უკანვე დაიხიეს. იაპონელების ცენტრმა და მარჯვენა ფრთემ რუსების ყურადღება მიიპყრო, ამით ისარგებლეს, რუსებს ჩრდილოეთიდან მოუარეს და, როგორც დეპეშებიდან სჩანს, ეხლა სანტაიძისა და ჩინეთის მეფეების სასაფლაოსთან იბრძვიან. ეტყობა, იაპონელებს სანტაიძი აუღიათ, რადგან სასაფლაოსთან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ჩამოსვლა. ამ სასაფლაოსთან ამ ბრძოლის ბედი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს. სასაფლაო რკინის გზასა და თვითონ მუკდენსაც ზედ აკრავს. 23 თებერვალს ამ ალაგას ბრძოლა ჯერ არ გათავებულიყო.

„რუსის" კორესპონდენტი იუწყება, მუკდენის კედლებს სულ ზანზარი გააქვთო.

22 თებერვალს იაპონელებმა რა კი შეამჩნიეს, რომ რუსებმა ყოყმანი დაიწყეს და უკან დასახევად ემზადებოდნენ, იმავე ღამეს ყოველ მხრიდან მიესივნენ და რუსები დასძრეს.

ოიამა იუწყება, შახედან დაწყებული მდინარე ხუნხემდე ჩვენ დავიჭირეთო. კუროპატკინი კი იუწყება, ჯარს ხუნხეს მარცხენა ნაპირზე ვაგროვებ და გამაგრებას აქ ვაპირებო.

ტოკიოში გამარჯვებას დღესასწაულობენ. მთელი ქალაქი ბაირაღებითაა მორთული. ხალხი ქუჩა-ქუჩა დადის და მთავარ შტაბსა და სამხედრო მინისტრს გამარჯვებას ულოცავს.

მარშალმა ოიამამ თავის ჯარს ბრძანება მისცა: მუკდენში ბევრნი ნუ დაბანაკდებით და ყველას პატივისცემით მოექეცითო. აქედან სჩანს, რომ ოიამა მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ, დღეს თუ ხვალ, მუკდენი იმის ხელში იქნება.

რუსებსაც და იაპონელებსაც აუარებელი ზარალი მოსვლიათ. მარშალი ოკუ იუწყება, რუსებმა ბრძოლის ველზე 8000 მოკლული დასტოვესო. საზოგადოდ გამოანგარიშებულია, რომ თითო მოკლულზე 5—6 დაჭრილი მოდის. მაშ ისე გამოდის, რომ მარტო ოკუს ჯარმა რუსებს დაუჭრა და მოუკლა 60,000-მდე კაცი. დეპეშაში ნათქვამია, სხვა ალაგას იაპონელებმა რუსებს სამჯერ მეტი ზარალი მიაყენესო, ე. ი. 180,000 კაცი, სულ 240,000 კაცი. თუ ეს რიცხვი მართალი გამოდგა (საეჭვო კია), ეს ბრძოლა-კი არა, რაღაც ჯოჯოხეთი ყოფილა.

ტოკიოდან იუწყებიან, იაპონელების ზარალი 50,000 კაციაო.

საერთოდ კუროპატკინის ჯარი დიდ საფრთხეშია ჩავარდნილი. იაპონელები რუსებს თითქმის ყოველ მხრიდან გარშემოერტყნენ და რუსებს ერთ პატარა ადგილზე უყრიან თავსა. თუ კუროპატკინმა ვერ მოახერხა და ჩრდილოეთისკენ გზა ვერ გაიკაფა, ადვილი შესაძლებელია, რომ იაპონელებმა რუსეთის ჯარი ან დაატყვევონ, ან თითქმის მთლად გაანადგურონ. ეხლა იაპონელები მთელ თავის ძალ-ღონეს ხმარობენ, რომ რკინისა და მანდარინის გზები ჩაეგდოთ ხელში (მანდარინის გზა რკინის გზას გვერდით მისდევს).

ტოკიოდანაც იუწყებიან, საეჭვოა, რომ რუსებმა თავი დააღწიონ და ჩრდილოეთისაკენ დაიხიონო. (რ. ვ.).

გენ. კუროპატკინის მოადგილე. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: 20 თებერვალს მომხდარ დიდ სამხედრო კრებას უნდა გადაეწყვიტა, გამოვიწვიოთ თუ არა კუროპატკინი და, თუ გამოვიწვევთ, იმის ადგილზე ვინ დავნიშნოთ. ამბობენ, კუროპატკინის მაგივრად მთავარ-სარდლად ან დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს დანიშნავენ, ან გენერალს დრაგომიროვსაო.

ამას წინად დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თავის სასახლეში 48 კავკასიელ აფიცერს სადილი გაუმართა და სადილის დროს სთქვა: ნახვამდის! მალე ვნახავთ ერთმანეთს. ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ დიდ მთავარს იმედი ჰქონია აფიცრებს მანჯურიაში შეხვედროდა. („რ. ვ.").

ფრანგების აზრი მუკდენის ბრძოლის შესახებ. „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება: საფრანგეთის მთავარი შტაბი რუსეთ-იაპონიის ომს გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს. ეხლანდელ ბრძოლის შესახებ ამ შტაბის აფიცრებმა მითხრეს: ჯერ საბოლოო აზრი არ შეგვიდგენია და ვერც იმას გეტყვით, დამარცხდება თუ არა კუროპატკინი, მაგრამ კუროპატკინის ტაქტიკა ძალიან საშიშია. კუროპატკინი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ მტერი მოიგეროს, ხოლო გასამარჯვებლად-კი ხელსაც არ ანძრევს. ეხლა მუკდენის დასავლეთითაც დიდი ამბები უნდა დაიწყოს და ჩვენც მოუთმენლად და გულის ფანცქალით ველით ბრძოლის ბოლოს. ოღონდ ის არის, კუროპატკინმა ბრძანება არ გასცეს და მთელის ჯარით უკან არ წამოვიდეს.

კუროპატკინიც სწორედ ასე მოიქცა. (ნ. ვ.).

კორესპონდენტების აზრი მუკდენის ბრძოლის შესახებ. კორესპონდენტი პარიზიდან იწერება: იაპონელები ყვირიან, გავიმარჯვეთო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იაპონელების გამარჯვება ნაადრევია და მუკდენიცა და შახეც ჩვენ დაგვრჩება.

არც კორესპონდენტის სურვილი სრულდება. („ნ. ვ.").

„რუსი"-ს კორესპონდენტი კრასნოვი დეპეშით იუწყება: პუტილოვისა და ნოვგოროდის გორებს ცეცხლი უკიდიათ. უშველებელი 6 და 11 დიუმიანი ყუმბარები (თითო 11 დიუმიანი ყუმბარა 20—23 ფუთს იწონის) სეტყვასავით მოდის. საცა ეს ყუმბარა გასკდება, იმ ადგილიდან ბოლოს უშველებელი შავი და თეთრი სვეტი ავარდება ხოლმე. ყუმბარა ჯერ ზუზუნით მოდის, მერე შხუის, მერე გრიალებს, ღრიალებს და მიწაზე მეხივით დეეცემა ხოლმე. ამ გორებზე ჯოჯოხეთია, ნამდვილი ჯოჯოხეთი! იაპონელებმა სოფელი სახეპუ ყუმბარებით გაავსეს. ამ მხარეს, უეჭველია, „რკინის სალდათი"—მარშალი ოკუ მოდის და აქაურობას ისე ამსხვრევს და ამტვრევს, როგორც გრიგალი. თხრილებში საშინელებაა! ყუმბარების გრიალისგან ჩვენს ყურებს განუწყვეტელი ზუილი გააქვს; თვალები მიწით აგვევსო, ყუმბარების ბოლი გვახრჩობს, მაგრამ მაინც მაგრად ვდგევართ. ყველა დარწმუნებულია, რომ ეს ბრძოლა საბოლოო ბრძოლაა. იაპონელებს ყოჩაღად ვიგერიებთ. მაგრამ იაპონელები არა ცხარდებიან და მედგრად გვაწვებიან. აბა, ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს! რუსეთის ჯარს მტიცედ სწამს თავის ძალა და იმედი აქვს, რომ ღმერთი არ დასტოვებს და გამარჯვებას აკუთვნებს.

რუსები ხომ ხედავენ, რომ ღმერთი არა სწყალობთ. შემდეგშიაც, სანამ მარტო ღვთის იმედი ექნებათ, რუსები ვერ გაიმარჯვებენ. (რ.).

ახალი ამბავი

✦ ამას წინად, როგორც მკითხველებმა იციან, ცხენის რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა ქალაქში მოსამსახურეთა **უთანხმოების გამო** ტრამვაის გამგეობასთან. მოსამსახურეთ წარუდგენიათ გამგეობისთვის თავიანთი მოთხოვნილებანი და გამგეობის მიერ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გამოიხატა იმაში, რომ იმ მოსამსახურეებისთვის, ვინც ორ წელიწადზე მეტს მსახურობს, **დღეში ერთი შაური მოუმატებიათ**. ეხლა, როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობას მოუთხოვნია უსახელო საზოგადოების წარმომადგენლისაგან, რომ მოსამსახურეებმა: კონტროლიერებმა, კონდუქტორებმა და ვატმანებმა ორ-ორი კაცი ამოირჩიონ თავის მხრით და თავისი მოთხოვნილებებით ქალაქის გამგეობას წარუდგნენ.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა ბბ. **ნადირაძემ, აბრამიშვილმა და სავიცკიმ** კოლლექტიური საჩივარი დასწერეს ქალაქის გამგეობაში შესატანად. საჩივარი შეეხება ყაზახთა თავგასულობას. გუშინწინ ღამით მათ ავჭალის ქუჩაზე დახვედრიათ ორი ცხენოსანი ყაზახი და უკითხავთ, რა ტომისანი ხართო. ყაზახებს ხმლები უშიშვლებიათ და დარტყმას უპირობდნენ. ამ დროს შესწრებიათ მათ მეცხრე საპოლიციო უბნის ზედამხედველი და მას ძლივს გადურჩენია ყაზახთა ხმლებისაგან. ამ გარემობას აღნიშნავენ მომჩივარნი და სთხოვენ გამგეობამ ღონისძიებანი მიიღოს, რომ შემდეგში მაინც იყვნენ უზრუნველყოფილნი ყაზახთა ხმლებისგან.

✦ მოქალაქეთა რწმუნებულებმა ქართველებმა, აღძრეს საკითხი მოქალაქეთა გამგეობაში, რომ ამ გამგეობის საქმის მწარმოებელმა **უეჭველად უნდა იცოდეს ქართული ენაო;** ეს საკითხი განხილული იქმნება რწმუნებულთა საერთო კრებაზედ.

✦ როგორც ვიცით, ეს ერთი ხანია რკინის გზებზედ **შემოღებულია მომეტებული ტარიფი** სამგზაურო ბილეთებზედ წითელის ჯვრის სასარგებლოდ. მგზავრმა ზედმეტი ფასი უნდა გადაიხადოს მაშინ, თუ მე-2 კლასის ბილეთი 2 მანათზედ მეტად ჰღირს, ხოლო მე-3 კლასისა — თუ ბილეთი 5 მანათზედ მეტად ჰღირს. თუმცა ასე მარტივი ანგარიშია დაწესებული ახალ ტარიფზედ, მაგრამ რკინის გზის კასირებმა ჯერ კიდევ კარგად ვერ შეითვისეს ან არ უნდათ შეითვისონ და მგზავრს ხშირად ზედმეტსაც ახდევინებენ.

✦ მ. ა. ჯაბარსა და ქართულ დრამატიულ საზოგადოებას მოლაპარაკება ჰქონდათ **სათეატრო სკოლის** შესახებ, რომელიც უნდა დაარსებულ იქმნას საარტისტო საზოგადოებისა და ქართულ-სომხურ დრამატიულ საზოგადოების სახელით. სკოლაში მონაწილეობის მიღების სურვილი სომხურ დრამ. საზოგადოებას უკვე განუცხადებია მ. ა. ჯაბარისათვის, ხოლო საარტისტო საზოგადოებას აღუთქვამს,—შენობას სკოლისა და გამოსაცდელ წარმოდგენებისათვის უფასოდ დავუთმობო. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამაც თეატრის დაარსების აზრი პრინციპიალურად მოიწონა და ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს, თუ დიდი ხარჯის გაღება არ დასჭირდება.

✦ ამ სეზონში **ქართულ დრამის ამხანაგობას** 2,000 მანათამდე ზარალი მოსვლია. ამხანაგობის კომიტეტს აზრად აქვს მოქმედება განაახლოს დიდ-მარხვის მეორე კვირაში. „კაი გრაჯი" რამდენჯერმე იქმნება წარმოდგენილი.

✦ **სახაზინო თეატრის** ანტრეპრენიორს დონსკოის წელს 9,000 მანეთამდე ზარალი მოსვლია. დონსკოი ამ დღეებში მიდის ტფილისიდან.

✦ ხვალ, კვირას, 27 თებერვალს, **ქუთაისის** თეატრში დანიშნულია ჩვენის ნიჭიერ მსახიობის ვლ. **ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი**. წარმოდგენილი იქმნება ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი დრამა „რუი-ბლაზი, რომელიც ტფილისის ქართულ სცენაზედ გუშინწინ წარმოადგინეს პირველად.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ** გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს სომხის მსახიობ ქალის **სირანიძის 25 წლის** იუბილეიში, რომელიც 5 აპრილს გაიმართება საარტისტო საზოგადოების დარბაზში.

✦ საგუბერნიო მმართველობას მიუმართავ მაზრის უფროსებისთვის და უთხოვნია, მიიღე ზომები, რომ **სხვადასხვა ხარჯები გლეხკა ცობაზედ დაუყოვნებლივ თავის დროზედ** დ **მთლიანად იკრიბებოდეს**, რადგანაც ზოგიერთ ხარჯების დარჩენა ხელს უწყობს ვალის გაბე რებასაო.

✦ გუშინ სამოსამართლო პალატის დარბაზ დანიშნული იყო **კრება კავკასიის გამასწორ ბელ სამეურნეო-სახელოსნო კოლონიების** და თავშესაფარის საზოგადოებისა. კრება ა შესდგა, რადგან საკმაო წევრი არ დაესწრო, დ გადაიდო 13 მარტისთვის.

✦ გუშინ დეპუტატთა საკრებულოში დაიწყ კრება იმ კომისიისა, რომელმაც **თავად-აზნაურთ ფული უნდა გაუნაწილოს სკოლებს.**

✦ ქალაქის გამგეობას აზრად აქვს გამოსცეს ყოველ კვირა **ფურცელი**, რომელიც უნდა შეიცავდე ტფილისის **სანიტარულ სტატისტიკის ცნობებს**; ფურცელში მოთავსებული იქნება: კვირის განმავლობაში რამდენი დაიბადა, რამდენი გარდაიცვალა რა ავადმყოფობისაგან და რამდენის წლისა, რომელ საზოქაულოში და ქალაქის რომელ ნაწილში რამდენი გახდა ავად, საავადმყოფოში გარდაცვლილთა რიცხვი და მის გარეშე; ფურცელში მოთავსებული იქნება ცალკე განყოფილება ტფილისის ყველა სასწავლებელთა სანიტარულ ცნობებისა.

✦ ქალაქის საბჭოს მდივანს ბ-ნ ჭრელაშვილ აღუძრავს ხმოსანთა შორის ფრიად საყურადღებ საკითხვა შესახებ **თამარის არხის აღდგენისა**. ჭრელაშვილის გამოკვლევით, ეს არხი იწყებოდ არაგვის ნაპირიდან ბიწმენდის დასწვრივ, გადმოყვანილი იყო ჯაჭვის მონასტრის ფერდობზედ—გადმოივლიდა ზემო-ავჭალის თავზედ და აქედან არხი, როგორც ეხლაც სჩანს, გადიოდა ყარაიაზ მინდვრისკენ; რადგანაც ამ არხის აღდგენას დიდ მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის, შემდგარია კომისია ინჟინერების: კირაკოზოვისა, ბაბოვისა, გრ ქუროვისა, ბ-ნ ჭრელაშვილის და ზოგიერთ ხმოსნებისაგან, რომელთაც უნდა დაათვალიერონ არხის ნაალაგევები, მიმართულება და გამოიკვლიონ, სად რამდენი და რა სამუშაო დასჭირდება მის აღდგენა.

✦ ქალაქის საბჭომ უკვე ამ[illegible] კომის ლ. ფ. ტიგრანოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაავალა გამოიკვლიოს, რამდენი დაუჯდე ქალაქს **შუა-ბაზრის გაფართოება** და ამ ადგილზედ **ფართო ქუჩის გაყვანა** ერევნის მოედნიდან აბანოებამდის; ბ-ნი ტიგრანოვი უკვ შეეკითხა სახლის პატრონებს და სთხოვა წარუდგინონ მას ცნობა, თითო სახლის პატრონ რამდენ-რამდენი საჟენის დათმობა შეუძლიან და ან რა ეღირება მათი მამულიო.

✦ ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებმ **მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსის** დაბადებ გამო **გადადეს 5000 მან.** ტფილისში ღარიბ მოქალაქეთა შვილებისათვის სკოლის დასაარსებლად. რადგანაც მოქალაქეთა წარმომადგენლებ სურთ შექმნან განსაკუთრებულის ტიპის სასწავლებელი, ამიტომ მათ კომისიისათვის მიუნდვია შეეკითხონ მოსკოვის, პეტერბურგისა და სხ ქალაქების მოქალაქეთა გამგეობათ, რა უფლე ბის სკოლა აქვთ დაარსებული და რა ტიპს უფ რო მიუახლოვდება ამ სკოლების პროგრამმაო.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონ ბათა მინისტრის რწმუნებულის განკარგულებ უნდა მოხდეს **კრება სახელმწიფო ტყის მცველე ბისა** ტფილისში.

ფელეტონი

რუსეთის ცხოვრებიდან.

—

კურსკში მოსწავლენი გაიფიცნენ. სამი საშუალო სასწავლებლის მოსწავლენი—ქალებიცა და ვაჟებიც—ერთად შეიკრიბნენ და მეოთხე სასწავლებლისაკენ გაემართნენ: იმათაც შევატყობინოთ და ვკითხოთ, მხარს გვიჭერენ თუ არაო. მოსწავლეებს გარს შემოეხვივნენ პოლიცმეისტერი, ბოქაულები, მათი თანაშემწენი, აუარებელი პოლიციელი და ურიცხვი „მოწაფენი სასოფლო დარაჯთა სკოლისა" (ამისთანა „სკოლა" გახლავთ კურსკში). პოლიცმეისტერი წინ წამოდგა და დაიყვირა:

— «Резервы, впередъ!» სცემეთ!

ხმალ-ამოღებულნი პოლიციელნი და „სასოფლო დარაჯთა სკოლის მოწაფენი", ბოქაულების წინამძღოლობით, მოსწავლეებს ეცნენ და „წესრიგის აღდგენა დაიწყეს".

ერთმა ბოქაულმა დაიყვირა:

— სცემეთ მარცხნივ და მარჯვნივ! სცემეთ ყველას!

იმათაც სცემეს... სცემეს მარჯვნივ და მარცხნივ; სცემეს ყველას; სცემეს, საცა კი მოხვდებოდა, სცემეს თავში, სცემეს ცხვირ-პირში, სცემეს გულ-მკერდში... თუ პოლიციელის მუშტით მოსწავლე წაიქცეოდა, წაქცეულს მეორე პოლიციელი ეშველებოდა, ჯერ ზეზე აყენებდა და მერე პირველსავით ცემას დაუწყებდა... ბავშვებს წიხლებით სთელავდნენ, თავს ტროტუარზე და ქუჩის ქვაფენილზე უხეთქავდნენ. ოზგს გული წაუვიდა, ზოგს გონება დაეკარგა, მაგრამ მაინც სცემდნენ, ტროტუარზე თავს უხეთქავდნენ, თმებით ათრევდნენ. გაქცევა შეუძლებელი იყო, რადგან მოწაფეებს პოლიციელნი რკალივით ერტყნენ; მაგრამ, თუ ვინმე მოახერხებდა და გაიქცეოდა, უარესი დღე დაადგებოდა: ყაზახები და დარაჯები ეწეოდნენ, ცხენებს ფეხით ათელინებდნენ და მათრახებით სცემდნენ. ზოგმა [illegible] სცადა თავის შეფარება, მაგრამ კარებში ბოქაული დაუხვდათ. ბოქაული მოსწავლეებს ხელსა ჰკრავდა და „წესრიგის დამცველთა" წრეში აგდებდა. ზოგს თავი ხმლით გაუჩეხეს, ზოგი ცხენს გააჰქულეტინეს და ზოგსაც ხელ-ფეხი დაუმტვრიეს; უმეტესობას კი თავპირი დაუსისხლიანეს.

დრამა სხვებმა დაამთავრეს:

შრომითა და „წესრიგის აღდგენით" დაღლილ-დაქანცულ პოლიციას უცებ ბაზრის ხალხი მიეშველა. ამათ უფრო უარესი დღე დააყენეს ბავშვებს. პოლიციას ეს ხალხი წინდაწინვე ჰყავდა მომზადებული. ყასბები და მედუქნეები აღარავის არ არჩევდნენ: ვისაც მოსწავლის ფორმა ეცვა, იჭერდნენ და იქამდის სცემდნენ, სანამ სულს დალევდა.

რამდენიმე მოსწავლე ცემით მოკლეს.

ერთმა გარეშე მაყურებელმა ბოქაულს ჰკითხა, რადა სცემთო. ბოქაულმა უპასუხა:

— იმიტომ სცემენ, რომ ხელმწიფე უყვართ და იცავენ, შენ კი, როგორც გეტყობ, გაპონის მომხრე ხარ.

„წესრიგის აღდგენის" შემდეგ „წესრიგის აღმდგენელნი" საჯაროდ კვეხულობდნენ:

— ნეტა ერთი ხვალაც დაგვიძახონ: არაყიც დაგვალევინეს და თითო მანათიც გვაჩუქესო.

ბოქაული-კი ბაზარში დადიოდა და ყველას მადლობას უცხადებდა:

— გმადლობთ, ამხანაგებო! სწორედ რომ თქვენ დაგვიხსენით.

იმავ საღამოს ქალაქის საბჭოში ერთმა მოხუცმა სთქვა:

— საშინელი და შემაძრწუნებელი ამბები ვნახე. მე ვნახე, რომ 10 და 11 წლის ბავშვებს ცხვირპირიდან სისხლს ანთხევინებდნენ, წაქცეულებს ფეხით სთელავდნენ, თმებს აგლეჯდნენ...

— ბატონებო!—მიუბრუნდა მოხუცი საზოგადოებას და ისტერიულად დაიწყო ყვირილი:— ბატონებო! ჩემი ერთი შვილი მანჯურიაში სამშობლოსთვის სისხლსა ღვრის, მეორე შვილის სისხლს-კი იმავე სამშობლოში პოლიცია ღვრის. ეს საშინელებაა, საშინელება!

დახოცილთა და დასახიჩრებულ ბავშვების ღე[illegible] მთელ რუსეთს [illegible] ჩვენი შვილები [illegible] დაასახიჩრეს... ეს საქმე პოლიციამ და მისგან დაარსებულმა მაწანწალათა ბრბომ ჩაიდინა.

ყველა—დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მდიდარი თუ გლახა—მოვალეა ამ მოწოდებასა და „რუს. ვედ."-ის რედაქციის დასკვნას ღრმად ჩაუკვირდეს და კარგად დაფიქრდეს.

რედაქცია სწერს: „ჩვენ მოვალენი ვართ საჯაროდ გამოვაცხადოთ, რომ საზოგადოებას საშინელი საფრთხე მოელის პოლიციის მხრით, რომელიც ამ ბოლო დროს პატრიოტიზმის ჩადრში გაეხვია და, ვითომდა სახელმწიფოში არსებულ წესწყობილების დასაცველად, მაწანწალებისგან რაზმებს ადგენს და მოქალაქეებს უსევს. თუ საზოგადოება დარწმუნდა, რომ სახელმწიფოში უშიშობა და წეს-რიგი აღარ არსებობს, იგი იძულებული იქნება თავის თავის დასაცველად თვითონვე იზრუნოს და შესაფერი ორგანიზაცია შეადგინოს. ხოლო ამას რაც მოჰყვება... მაგრამ ამაზე ფიქრიც-კი შეაძრწუნებს კაცსა".

რედაქცია არ ამბობს, რა უნდა მოჰყვეს ორგანიზაციის შედგენას და არც არის საჭირო ამის თქმა. ყველამ იცის, რაც მოჰყვება და მოვალეც არის იცოდეს. რედაქცია პირდაპირ ამბობს: ორგანიზაციამ თავისი თავი უნდა დაიცვასო.

დიაღ, ორგანიზაციამ, ე. ი. საზოგადოებამ **დღეის იქით თვითონ უნდა იზრუნოს თავის თავზე და თავის თავიც თვითონ უნდა დაიცვას.**

ვინ დაგვიდგება თავდებად, რომ დღეს თუ არა ხვალ ჩვენც არ მოგვისევენ გაუნათლებელსა და მოსყიდულ ბრბოს და ისე არ აგვაწიოკებენ და ამოგვჟლეტავენ, როგორც ამოჟლიტეს ხალხი კიშინიოვში, გომელს, ოდესსა, ბაქოში და სხვაგან? ან რომელი ჩვენგანი იტყვის, რომ პოლიცია ჩვენც იმ დღეს არ დაგვაყენებს, რაც იაროსლავისა, ნიჟნი-ნოვგოროდის, სარატოვისა, სამარის, მოსკოვისა და მრავალ სხვა ქალაქების მცხოვრებთ დააყენეს?

თითქმის ყოველ ჩვენგანს ჰყავს მოსწავლე შვილი, ძმა, და, ბიძაშვილი, ნათესავი და ნაცნობი, მაგრამ ვინ დაგვამშვიდებს, რომ ხვალ თუ ზეგ ჩვენს ნათესავებსა და შვილებს ის დღე არ მოელის, რაც კურსკელ მოსწავლეებს [illegible]ნეს. ყველა ჩვენთაგანი ხედავს, რომ ჩვენ სასწავლებლებშიაც მღელვარებაა და დღეს თუ ხვალ შეიძლება სასწავლებელს თავი მიანებონ და გარედ გამოვიდნენ. მერე რა იცით, რომ იმათაც ისე არ დახოცავენ, არ დაასახიჩრებენ, თმებით არ ათრევენ, ცხენს ქვეშ არ გასჭყლეტენ და ტროტუარზე თავს არ დაუჩეჩქვამენ, როგორც კურსკელ მოსწავლეებს უყვეს. მერე განა კურსკის მაგალითი ერთია? პირიქით, ამგვარი ცემა-ტყეპა და სისხლის დენა უკანასკნელ დროს მაგალითი კი არა, სულ უბრალო, ჩვეულებრივი და თითქმის კანონიერი მოვლენა შეიქმნა. თუ საზოგადოების ცემა-ტყეპა და უდანაშაულოდ ციხეში ამოლპობა უკანონობაა, რატომ არ დაისაჯა ამ უკანონობისთვის ნიჟნი-ნოვგოროდის განთქმული პოლიცმეისტერი იგნატიევი, რომელმაც მთელი პოლიცია შეაგროვა, სხვის დარბაზში შეიჭრა და, ვითომდა წეს-რიგის აღსადგენად, იქ მყოფ საზოგადოებას—დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, ვექილსა თუ ექიმს—მუსრი გაავლო, მრავალი დასჭრა, დაასახიჩრა და სრულიად უდანაშაულო საზოგადოება ააწიოკა. მერე ვინ მოსთხოვა პასუხი იგნატიევს? არავინ. ვინ ჰკითხა იგნატიევს, რისთვის და რად მოექეცით მშვიდობიან მოქალაქეებს ეგრე მხეცურად, სასტიკად, ყაზახურადო? ისევ არავინ. ან რატომ არ დაისაჯა ამ უკანონობისათვის იაროსლავის პოლიცია, რომელმაც გაუნათლებელ ბრბოში პროკლამაცია გაავრცელა—სტუდენტები და გიმნაზიელები ხელმწიფის წინააღმდეგნი არიან და ამიტომ სრული უფლება გეძლევათ, რამდენიც გნებავთ, იმდენი სტყეპოთო. ბრბომაც აიღო და სტუდენტებს იმდენი ურტყა, რამდენიც უნდოდა. მერე, დაისაჯა ვინმე? არავინ. იაროსლავის პოლიცმეისტერი და ნიჟეგოროდისაც დღესაც „წეს-რიგს" ადგენენ. ეს კიდევ არაფერი: სარატოვის ერთმა ბიუროკრატმა ბობოლამ გლეხებისგან განსაკუთრებული რაზმები შეადგინა და ამ რაზმებით დღესაც ნადირობს ინტელიგენციასა და მუშებზე ბნელეთის. მოტრფიალე მოქცევა—„მოსკოვ. უწყებანი", „გრაჟდანინი" და სხვ.—ყოველ ფურცელზე, ყოველ წერილში და ყოველ სტრიქონში მხოლოდ იმა გაიძახის, რომ ინტელიგენციასა და მუშებს სწო რედ ისე უნდა მოვექცეთ, როგორც რუსეთი ჯარი იაპონიის ჯარს ექცევაო, ე. ი. თოფ-ზარ ბაზანი უნდა დავუშინოთ და ამოვწყვიტოთო. ა ჯურის გაზეთები პირდაპირ სწერენ: მოუსვენარ საზოგადოების მოსასპობლად არც კატორღა უნდა დავერიდოთ, არც თოფსა, არც სახრჩობე ლას, არც გილიოტინასა და არც ზარბაზანსაო კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ყველამ იცი რომ წამქეზებელს კანონი სასტიკად სჯის. მერე რით ისჯება ეს პრესსა? მხოლოდ ყოველწლიურ სუბსიდიით. ხალხის ამკლები პოლიცია არაფრი თაც არ ისჯება, მაშასადამე, იმათი ქცევა, ე. ი. საზოგადოების უმიზეზოდ ცემა-ტყეპა, ძლეტა, წაქეზება და საზოგადოების დასარბევად ბრბო დაქირავება კანონიერი ყოფილა; მაგრამ კანონში გარკვევით სწერია, რომ ამგვარი ქცევისათვი პოლიცია უნდა დაისაჯოსო. ისე გამოდის, რომ ერთი და იგივე ბოროტმოქმედება კანონიერიც არის და უკანონოც, მაგრამ ზემოდ მოყვანილ მაგალითებიდან (ამგვარი მაგალითი ათასი და ათიათასია) სჩანს, რომ ძალ-მომრეობა კანონიერი ყოფილა. მაგრამ განა შეუძლიან საზოგადოებას ამნაირ კანონების მფარველობის ქვეშ ცხოვრება? შეუძლიან ამ კანონებით საზოგადოებას თავის დაცვა? შეუძლიან ვისმე დამშვიდებით გარედ გამოსვლა, ლაპარაკი, ჭამა, სმა, ფიქრი, ცხოვრება? პასუხი ერთია:

არა, არ შეუძლიან.

დანარჩენი ყველასთვის ცხადია:

საზოგადოებამ დღეის იქით თვითონვე უნდ იზრუნოს თავის თავისათვის და თვითონვე უნდ მოუაროს თავის მახლობელს.

თუ როგორ შეიძლება თავის თავის მოვლა, საზოგადოებაში მშვიდობიანობის, სიმართლის და თავისუფლების დამყარება და ცნობიერების ძირითად პრინციპების უზრუნველ-ყოფა—ამაზ ყველამ თვითონ იფიქროს...

მ. ბდ—ლი.

✦ ტეხიკურ სკოლებში დამთავრებულთათვის დამხმარებელ საზოგადოებას **გადაუწყვეტია გადასდოს 600 მანეთი,** რომელიც უნდა მოხმარდეს წიგნების შეძენას საზოგადოების ბიბლიოთეკის შესავსებლად.

✦ ტფილისის უფროსმა ექიმმა მიმართა ქალაქის საექიმო ნაწილის ექიმებსა და ფერშლებს, სასტიკად **თვალ-ყური ადევნონ თბილისის აბანოების სისუფთავეს.**

✦ ქალაქის გამგეობაში აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ **გაჯის** მოსაჭრელ ადგილებში **მოემატოს იჯარის ფასი.**

✦ კვირას, 27 თებერვალს, დანიშნულია იმ კომისის წევრთა სხდომა, რომელსაც მინდობილი აქვს **ვარაზის ხევ-გაღმა მდებარე ადგილების** ქალაქთან შემოერთების საქმე.

✦ დღევანდლამდე **ბაქოში დაზარალებულთა** სასარგებლოდ ქალაქის კასსაში შესულა შეწირულება **11200 მან.**

✦ როგორც გავიგეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოებას გადაუწყვეტია **ასი თუმანი** ისესხოს აუცილებელ ხარჯების გასასტუმრებლად. აქედან 45 თუმანი მიეცემა ქართულ დრამის ამხანაგობას სუბსიდიად.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა **ნება-დართო** პირველ-დაწყებით სკოლის მასწავლებელს მემედ-ყული-ზადეს დააარსოს ტფილისში მე-3 **ხარისხის** კერძო სასწავლებელი პანსიონითურთ მაჰმადიან ბავშვთათვის. ასეთი კერძო სასწავლებელი მაჰმადიანთათვის პირველი იქნება კავკასიაში.

✦ სამტრედიიდან „ცნ. ფ.“-ს დეპეშით ატყობინებენ: ხმა დადის, ამ ცოტა ხანში ის **ჯარი,** რომელიც ბათუმ-ფოთსა, სამტრედიას და სხვა სადგურებზეა, უკანვე **დაბრუნდებაო.**

✦ 28 თებერვალს გორში ოლქის სასამართლოს სესიაში გაირჩევა **საქმე ალ. ეგაძისა,** რომელსაც იგ. სულხანიშვილის მოკვლა ბრალდება. ეგაძეს იცავს ნაფიცი ვექილი ო. ბარათაშვილი.

✦ 22 თებერვალს ტფილისის საფოსტო-ტელეგრაფის კანტორაში **საქალებო ინსტიტუტის მასწავლებლისთვის** ელისაბედ პოპოლდოპულოსთვის პალტოს ჯიბიდან ვიღასაც ამოუცლია ფულის ქისა, რომელშიაც 50 თუმანი ყოფილა.

✦ 24 თებერვალს მუხრანის ქუჩაზე ქალაქის საამკურნალოს კარებთან სიღნაღის მცხოვრებს სვიმონ ელიზბარაშვილს ოთხ ალაგას დანით მძიმედ დაუჭრია თავისი ხასა ირინე ლატუხინი. ელიზბარაშვილი დაპატიმრებულია და ლატუხინი მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

ქუთაისის ამბები

ბ-ნ. თ. ჟორდანიას ინციდენტი სტამბაში.

კაი ხანია, ქართველები ქებენ ტიხის შიგნიდან გამქეხის ვინაობას. დღეს მას მიაკვლიეს და პრესსამ დანამდვილებით აღნიშნა, რომ ეს უკვდავი პირი ბ-ნი თ. ჟორდანია გახლავსთ, კაცი დამსახურებული, გენერლის ჩინით დაჯილდოვებული. რა თქმა უნდა, გულსაკლავია ჩვენ შინაურობაში ასეთი აღმოჩენა და ისიც ამ დროში. ბ-ნ თ. ჟორდანიას განუზრახავს დღეს, თუმცა გვიან,—თავის სახელის აღდგენა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მან ამისათვის მეტად უცნაური და უხერხული საშუალება გამოუძებნია.

მიუმართავს ქუთაისის პოლიცმეისტერისათვის და ნებართვა აუღია განცხადების დაბეჭდვისა. ნება-დართულ ფურცლებით დღეს, 22 თებერვალს, გაუგზავნა თავისი ორი შვილი (გიმნაზიელები) გ. ჭილაძის სტამბაში. დილის 8 საათზე შედის სტამბაში ორი გიმნაზიელი და ეუბნება მესტამბეს, ბაგრატ კურცხალიას: ეს განცხადება დამიბეჭდეთ დღეს შუადღემდეო. მესტამბეს ბევრ ფაცა-ფუცში ყურადღება არ მიუქცევია და, რაკი პოლიცმეისტერის ხელმოწერილი დაუნახავს, დასთანხმებია. და გადაუცია ასაწყობად. თან გიმნაზიელებს უთქვამთ, რომ „ეს ქაღალდი საიდუმლოა, არსად წაიღოთ და არც არავის აჩვენოთ“, და იქვე მიუჯდომიან მაგიდას. მესტამბეს მიულაგ-მოულაგებია საქმეები, მისულა, გადაუთვალიერებია ხელნაწერი და დაუნახავს, რომ ქართულს თან რუსული თარგმანი არ ახლავს. ეს კი საჭიროა, რადგან პოლიცმეისტერი რუსია და გადაუთარგმნელად ქართულ ხელნაწერს ხელს არ აწერს. ამ შემთხვევაში მას შინაარსის გაუცნობლად მოუწერია ხელი.

მმართველს უფიქრია: აქ რაღაც სახიფათოა, არც რუსული თარგმანია, არც დამწერი სჩანს, რომ შევეკითხოთ. და ბავშვები კი მეუბნებიან: „საიდუმლოა, არავის აჩვენო“. მოდი და გადავიკითხავ მაინცო. და ჩუმად ასოთ-ამწყობს გამოართვა ხელნაწერი და თვით სტამბის პატრონთან ერთად გადაიკითხეს და დაინახეს, რომ უშვერი ლანძღვის მეტი იქ არაფერი საბუთი არ იყო, რაზედაც ავტორმა ტელეგრამით ქვეყანას ამცნო. მაშინვე სტამბის პატრონი მიუბრუნდა გიმნაზიელებს და უთხრა: «ჩვენ ამ განცხადებას ვეღარ დაგიბეჭდავთ». ამაზე გიმნაზიელები გაცხარდნენ: „როგორ თუ ვერ დაბეჭდავთო, ვნახოთო», და მიეშურნენ პოლიციაში, საიდანაც ეტლით მოიარბინა თვით პოლიცმეისტერმა ბოქაულით და დესეტნიკების თანდასწრებით დაუწყო მესტამბეს კითხვა: რატომ ჩემ ნებადართულ განცხადებას არ ბეჭდავთო. გამგემაც უთხრა: ერთი რომ დრო არა მაქვს და ისეც რომ იყოს, როგორც ბავშვებმა მითხრეს, ეს „სეკრეტნი“ რამ ყოფილა და ჩვენ კი ასეთ ქაღალდებს არ ვბეჭდავთო. მაშ მე ამას გუბერნატორს მოვახსენებ,—თქვა პოლიცმეისტერმა და ხელნაწერით ხელში იმ წამსვე წავიდა მასთან. გუბერნატორს კი ეთქვა: ეს გაზეთს უნდა დაუსტამბა, საცენზურო წესდების ძალით, და არა კერძო სტამბას ცალკეო. ამიტომ ავტორმა ისევ გაზეთს მიმართოს, ხოლო მესტამბეს გაფრთხილება გამოუცხადეთ, რომ მეორედ ამისთანა საქციელი—ურჩობა არ ჩაიდინოს, თორემ სტამბას სიავეთი მოუვაო. პოლიცმეისტერის პირით ეს „გაფრთხილება“ მესტამბეს გამოუცხადა, ხოლო ხელნაწერი მასვე წაუღია გადასათარგმნად და, სადაც ჯერ არს წარსადგენად.

საკვირველია, რატომ მიმართა ბ-ნმა თ. ჟორდანიამ ამ ხერხს—ცალკე ფურცლებად თავის-მართლების დასტამბვას! განა იმავე გაზეთში, სადაც მისი საქციელი გამოააშკარავეს, არ დაუბეჭდავდნენ, პასუხს თუ ეს „პასუხი“ საბუთებზე იქნებოდა დაფუძნებული და არა ცალიერ ლანძღვა-გინებით ავსებული?!

მოდასტურე.

რედაქციისაგან. ჩვენს რედაქციას ორი გრძელი წერილი მოუვიდა ბ-ნ თ. ჟორდანიასგან, რომელიც გვთხოვს იმათ დაბეჭდვას. არც ერთი ის წერილი დასრულებული არაა,—ორივეს აწერია „შემდეგი იქნება“. შინაარსით ეს წერილები ისეთი კილოთია დაწერილი, იმდენ უშვერ ლანძღვა-გინებას შეიცავს, რომ ვერც ერთი რედაქცია, რომელსაც ბეჭდვითი სიტყვის პატივისცემა აქვს, ვერ დაბეჭდავს. ჩვენ არ ვუსპობთ ბ-ნ. თ. ჟორდანიას საზოგადოების წინაშე თავის გამართლების საშუალებას. თუ ასეთ უზომოდ **გაუჭიანურებელ და დასრულებულ** წერილს გამოგზავნის, რომელშიაც იქნება **ლიტერატურული ზრდილობა** დაცული და ავტორის გამამართლებელი **ფაქტები და საბუთები** ანუსხული,—ჩვენ დაუბრკოლებლად დავბეჭდავთ. ღმერთმა ჰქნას, რომ ბ-ნ თ. ჟორდანიამ მართლა შესძლოს შეურყეველის საბუთებით თავის გამართლება, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ იმედი არა გვაქვს..

სადღეისო

საერო კრება.

რუსეთში საერო კრების მოწვევის საქმე ცოტაოდნად გამოირკვა და ამიტომ, დღეს იქმნება თუ ხვალ, რუსეთის საზოგადოება დიდ ცვლილებას ნახავს უთუოდ.

ესევე არ ითქმის ჩვენზე. ისეთ დიდ სახელმწიფოში, როგორიც არის რუსეთი, ცენტრალიზაცია განაპირა ქვეყნების უყურადღებოდ დატოვებას ნიშნავს, ვინაიდან არ შეუძლია პეტერბურგში მყოფ ადამიანს შეიგნოს სავსებით აქაური ჭირი და ვარამი, ისევე, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ ჩრდილო რუსეთში მცხოვრებთა იდეალები.

რაც ვარგა, მაგ, საფრანგეთში, ის არ გამოდგება რუსეთში, საფრანგეთი ერთიანი სახელმწიფოა და ამას გარდა სივრცითაც რუსეთზე ბევრად ნაკლები.

ამიტომ იქ ყველა საქმე თუ წყდება პარიზში, ამას მაინცადამაინც დიდი ვნება არ მოაქვს ხალხისთვის, რაკი დეპარტამენტები კულტურულადაც მჭიდროდ არიან დაკავშირებული დედაქალაქზე.

მაგრამ იქაც თანდათან ადგება ხალხი ახალ მიმართულებას და თხოულობს, რომ დეპარტამენტებსაც მიეცეს მეტი თავისუფლება, რომ დეპარტამენტებშიაც დაარსდეს უმაღლესი სასწავლებლები, რომ არ იყოს საჭირო ყოველივე წვრილმან საქმეზე პარიზში სიარული, მიწერ-მოწერის გამართვა.

უწინდელ ცენტრალიზაციის მაგიერად შემოდის თანდათან მის წინააღმდეგი წესი,—დეცენტრალიზაცია, რომელიც მოითხოვს, რომ ყველა ადგილობრივი საქმე წყდებოდეს ადგილობრივ.

ამნაირივე მიმართულება იჩენს თავს ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც.

ავსტრიაში, მაგ., სადაც რამოდენიმე სხვადასხვა ეროვნება ერთად ცხოვრობს, სადაც მათში ატეხილია გამწვავებული ბრძოლა არსებობისთვის, ადგილობრივ საქმეების გადაწყვეტას, დეცენტრალიზაციას თხოულობენ ისინი, ვისაც უნდა მოისპოს ერთ ეროვნებისაგან მეორეს დაჩაგვრა და დამონება.

სადაც ერთად მცხოვრებს რამოდენსამე ერს არა აქვს მინიჭებული თავ-თავის საზღვარში სრული თვითმართველობა, იქ უთუოდ ან ერთი ერი უნდა შეიქმნეს ბატონი, ან კიდევ მეორე.

ამიტომ ჩვენც, ეხლანდელ რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობაზე რომ ვლაპარაკობთ და მომავალ წყობილებაზე ვოცნებობთ, უნდა ვიცოდეთ ყოველთვის, რომ დიდი, განუზომელი განსხვავებაა ჩვენთვის, ის მომავალი წყობილება იქმნება აგებული ცენტრალიზაციის თუ დეცენტრალიზაციის პრინციპზე.

ე. ი. შემდეგშიაც იქმნება საჭირო ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობის გამო მიიღოს ადამიანმა ბრძანება პეტერბურგიდან, თუ მიენიჭება ადგილობრივ მცხოვრებლებს უფლება, თვითონ განაგონ თავიანთი საქმე სხვების დაუკითხავად.

ადამიანი ყოველთვის თავის საკუთარ სარგებლობას დაეძებს, ძნელია მისთვის დაივიწყოს სრულებით თავისი მდგომარეობა და სხვისთვის იზრუნოს ისე, როგორც იზრუნებდა თავისთვის.

ამიტომ პეტერბურგის მოხელე, რომელიც სულ მუდამ პეტერბურგში სცხოვრობს, რომელიც აქაურობას არ იცნობს, ვერაოდეს ვერ მოეკიდება აქაურ მართვა-გამგეობას ისევე გულიანად, როგორც აქაური, ადგილობრივი ადამიანი.

რის გაკეთება შეუძლიან იმას, ვისაც არ შესტკივა გული საქმეზე...

ზემონათქვამი თუ არის მართალი კერძო ადამიანის, სამსახურში მყოფ მოხელეს შესახებ,—მართალი იქმნება უთუოდ მაშინაც, ამ მოხელის მაგივრად რომ იყოს მთელი კრება, საერო კრება.

აქაც ყველა იზრუნებს უთუოდ თავისთვის და რა ხმა უნდა მოგვეკეს ამ კრებაში ჩვენ,—ეს ადვილი საანგარიშო არის ყველასთვის.

ამიტომ საჭიროა ეხლავე მიეწყოს საქმე ისე, რომ შემდეგში არ დარჩეს ჩვენი ხმა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

საჭიროა სრულიად რუსეთისათვის საერთო კრების გარდა იყოს მოწვეული ადგილობრივი კრებები, სხვაგან და ერთიც კავკასიაში.

ამ ადგილობრივ კრებებს ექმნებათ ადგილობრივი ისევე ის კითხვები, როგორც სრულიად რუსეთის კრებას,—მხოლოდ ადგილობრივ საქმეების შესახებ.

საერთო კრებას დარჩება გადასაწყვეტად ის კითხვები, რომელიც ეხება მთელ რუსეთს, ის კითხვები, რომელსაც აქვს საერთო მნიშვნელობა.

მაშინ ყველას მოთხოვნილება იქმნება უფრო გულ-დასმით გარკვეული და უფრო სამართლიანად გადაწყვეტილი

ასეთი ადგილობრივი კრებები იქმნება მომავალ დეცენტრალიზაციის პირველი ნაბიჯი და ამ ნაბიჯის გადადგმა, ადრე თუ გვიან, რუსეთისათვის იქმნება აუცილებელი იმისთვის, რომ მოისპოს შინაური განხეთქილება და ბრძოლა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებში.

მხოლოდ დეცენტრალიზაციას შეუძლია შეაჩეროს სხვადასხვა ერის სურვილი ჩამოშორდეს იმ საპოლიტიკო ერთეულს, რომელიც სპობს ეროვნულ კულტურას და ყველას აიძულებს აიღონ ხელი ერის ბუნებრივ განვითარებაზე.

ნ. ნ.

გურიის ამბები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

როგორც მკითხველებმა იციან, გურიაში მოძრაობის გამოსაკვლევად და გასაცნობად კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ გაგზავნა ბ. სულთან კრიმ გირეი, რომელიც 20 თებერვალს უკვე მოვიდა ქ. ოზურგეთში. პირველი ორი დღე თვით ქალაქში დაჰყო, გაეცნო მოქალაქეებს და რამდენსამე ინტელიგენტს და გაიგო მათი აზრი დღევანდელ მოძრაობის შესახებ. 22 ამ თვეს გაემგზავრა სოფ. შემოქმედს, სადაც მოწვეული ჰყავდა იმ საზოგადოების ყველა პირები. თავი მოიყარა 500-მდე კაცმა, რომელსაც ბ. კრიმგირეიმ დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართა:

მოგესალმებით, გურიის შვილნო, და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენ შორის რუსულის მცოდნენიც არიან, მაგრამ მე მსურს ჩემი სიტყვები გაიგონოთ თქვენს დედაენაზე, რომელიც თქვენთვის უფრო გასაგებია. ამ ჩემს სიტყვებს გადმოგითარგმნით კაცი, რომელსაც მე კარგად ვიცნობ და ეხლა თან მახლავს. მე მეტად მიხარიან, რომ მომეცა შემთხვევა მოვსულიყავ გურიაში, ახლო გამეცნო გურულები და უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი მოსვლა მოგიტანთ თქვენ სულიერ მშვიდობას და დაწყნარებას. გურულები ყოჩაღი და ნიჭიერი ხალხი ხართ, მაგრამ უმთავრესად ყურადღების ღირსი უნდა იყოს თქვენი შვილების აღზრდა-განათლება. მე ვიცი, რომ თქვენში ბავშვები ხშირად დადიან ყოველ დღე ხუთი-ექვსი ვერსის სიშორეზე და მრავალი დაბრკოლებაც ხელს უშლის, მაგრამ მაინც საერთოდ სამი მეოთხედი ბავშვებისა სკოლაში სწავლობს. ამ მხრით სწორედ მაგალითი ხართ ამიერ კავკასიის ყველა ხალხებისთვის. თქვენი ახალგაზდობა გურიის სიამაყეა, იმედია და თქვენ ყოველი საშუალება უნდა იხმაროთ, რომ შეაკავოთ თქვენი ახალგაზდობა ისეთ საქმეებში გატაცებისაგან, რომელნიც არ შეეფერებიან მათ წლოვანებას, და ამით მისცეთ თქვენ შვილებს შეძლება მშვიდობიანად განაგრძონ სწავლა და მიიღონ განათლება. ამ მზრუნველობისათვის თქვენი ზნეობრივად დამაკმაყოფილებელი იქნება ყველაზე უწინარეს შეგნება, რომ თქვენ შეასრულეთ მძიმე მოვალეობა, როგორც მამებმა და მოქალაქეებმა, აგრეთვე ის რწმენა, რომ ახალგაზდობა თავის დროზე პატივისცემით და მადლობით მოგიგონებთ თქვენ.

მე მითხრეს, თქვენ შორის არიან ფიცხი ადამიანები, სასტიკად ნუ გაჰკიცხავთ მათ, მაგრამ ნურც მიჰყვებით კარგად მოუფიქრებელ რჩევას და მათს ფიცხს გატაცებას წინ დაუყენეთ სიდინჯე და გონიერება. ნუ გაჰკიცხავთ აგრეთვე იმ რუსებს, რომელნიც ოცნებობენ და ცდილობენ, რაც შეიძლება, მალე მოაწყონ ყველაფერი რუსულ წეს-რიგზე. მათ უნდათ, რომ დიდი რუსეთის ყველა წევრები, ამ დიდი ოჯახის ყველა ხალხები ცხოვრობდნენ ერთის საერთო ცხოვრებით და ლაპარაკობდნენ ერთის საერთო ენით. ამათ სურთ დააჩქარონ ისტორიული მსვლელობა, მაგრამ ავიწყდებათ, რომ სასურველი ერთობა დამყარდება თავისუფლად და ძალდაუტანებლად. ამგვარი ერთობა, რასაკვირველია, სრულიად არ მოითხოვს, მაგალითად, რომ ქართველმა დაივიწყოს თავისი მშობლიური ქართული ენა. ყოველი გონიერი რუსი პატივისცემით მოეპყრობა იმ ქართველს, რომელსაც შეუთვისებია რუსული კულტურა, მაგრამ ამავე დროს არის კარგი ქართველი, უყვარს ქართული ენა, მწერლობა და სწავლობს თვის ქვეყნის ისტორიას. სამაგიეროდ, არ ენდობა იმ ქართველს, რომელიც უყურადღებოდ სტოვებს ყველაფერს მშობლიურს. ეს ადვილი გასაგებიცაა. განა ცუდ ქართველს შეუძლიან იყოს კარგი რუსი?

გურიის მდგომარეობა გაჭირვებულია, ბევრს რამეს უნდა გაუმჯობესება, მოწეს-რიგება, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. დიდხანს იტანჯებოდით, იქონიეთ სიმამაცე და მოითმინეთ ცოტა კიდევ. წერა-კითხვა თქვენში ძალიან გავრცელებულია, სოფელში ყველგან წიგნები გაქვთ, ზოგიერთს გაზეთიც და მე ვიცი, რომ თქვენში, როგორც ყველგან რუსეთში, გაფაციცებით ადევნებთ თვალ-ყურს 1904 წ. 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაში უმოწყალესად აღნიშნულ საკითხების განხილვას და შემუშავებას. ამიტომ იმედს ნუ დაჰკარგავთ, რომ ყოვლად კაცთ-მოყვარეს ბრძანების თანხმად კეთილი შედეგით ისარგებლებენ გლეხები: მაგრამ ესეც რომ არ იყოს, კავკასიის უმაღლესი მთავრობა ცდილობს, რომ გააკეთოს ყველაფერი რაც-კი გააუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას. მთავარ-მართებელი მტკიცედ თხოულობს წესიერების და უშიშრობის დაცვასა და კანონებისა და კანონიერ მთავრობისადმი დამორჩილებას. მომანდო მე მოვისმინო თქვენი საჩივრები და განცხადებანი, მომცა უფლება გაცნობოთ მცხოვრებლებს, რომ ყველა კანონიერი და სამართლიანი საჩივრები და თხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება მთავარმართებლისაგანაა დამოკიდებული, დაკმაყოფილებულ იქმნებიან ეხლავე. იმ საჭიროების შესახებ კი, რომელთა შეწყნარება აღემატება მთავარ-მართებლის უფლებას, წარდგენილ იქნება მოხსენება და შუამდგომლობა მის იმპერატორებითს უდიდებულესობასთან.

რაც გურიაში მოხდა, იმის ახსნა შეიძლებაა მაგრამ გამართლება კი არა. და თქვენ არ შეგიძლიათ არ აღიაროთ, რომ ბევრი თქვენი წევრთაგანი უკანონოდ მოქმედობს. მე არ გკითხავთ, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ გთხოვთ ასწონოთ ის უბედური შედეგი, რომელიც მოჰყვება თქვენთვის, თქვენი ცოლშვილისათვის და თქვენთვის ძვირფას გურიის მომავლისთვის მთავრობისა და კანონების წინააღმდეგობას. მთავარმართებელი კეთილის გულით და ყურადღებით ეპყრობა თქვენს გაჭირვებას, რის დამამტკიცებელია ჩემი აქ თქვენთან ყოფნა, მაგრამ ჩემი გამოგზავნა უკანასკნელი ცდაა მთავარმართებლისა, რომ მშვიდობიანად მოეღოს ბოლო სამწუხარო უთანხმოებას და გაუგებრობას. ასწონეთ ყველაფერი, ნუ აჩქარდებით პასუხის მოცემას, შეეკითხეთ იმათ, რომელთაც თქვენ ენდობით, რომელთაც სურთ თქვენთვის სიკეთე და შეგვეწიოთ ღმერთი დღევანდელ გაჭირვებულ დღეს. თქვენმა არჩეულმა პირებმა დაუფარავად და უნაკლულოდ მითხრან, რაც თქვენს მშვიდობიანობას არღვევს. შეიძლება, ბევრი ისეთი რამეც იყოს სათქმელი, რის მოსმენა ჩემთვის სამძიმო იქმნება, მაგრამ მე მაინც მადლობელი ვიქნები, რადგანაც იმ გულახდილ სიტყვებისაგან მე გავიგებ ყველაფერს, რაც თქვენ დღეს გაწუხებდათ, და გავიგებ იმასაც, რაც მომავალში გეჭირვებათ.

ბ-ნ სულთან კრიმ-გირეის სიტყვის შემდეგ ხალხმა ამოირჩია 12-მდე წარმომადგენელი, რომელთაც მოახსენეს მას ხალხის აწინდელი გაჭირვება და მოთხოვნილებანი.

ხალხის პასუხს ხვალ გავაცნობთ მკითხველებს.

ი. გ.

პრესსა

„მოსკოვის უწყებებს“ გული მოსდის იმაზე, როგორც ხსნის ზოგიერთი გაზეთი პოლიტიკურ მკვლელობასა.

„უწინ პოლიტიკურ მკლელობას კისრულობდა მხოლოდ თავზე ხელაღებული ადამიანი. იმ დროს იშვიათიც იყო ასეთი მკლელობა, მაგრამ ეხლა სულ გამოიცვალა. ეხლა ამნაირ საძაგელ საქმეს აქებენ, რაინდად გამოჰყავთ მკვლელი, ცდილობენ შეუწყონ ხელი და ააცდინონ კანონიერი სასჯელი.

ზოგიერთი გაზეთი ხომ ნამეტანს სჩადის. იმპერატორ ნიკოლოოზ I 50-წლის დღეს გაზ. „სლოვოში“, მაგ., სწერია, რომ გერცენმა, რომელიც ყოვლად პატიოსანი ადამიანი იყო, იმპერატორ ნიკოლოოზის სიკვდილის ამბავზე მოითხოვა შამპანიური და სთქვა, დიადი დღესასწაული დადგა რუსებისათვისაო..

ეხლა პოლიციაზე ან, უკეთ რომ ვსთქვათ, პოლიციის გახრწნილებაზე არის ყველგან ლაპარაკი. „რუსული უწყებები“,—რუს ლიბერალ ნაწილის გაზეთი, ამბობს, რომ არ შეიძლება ეს საქმე არ გადაწყდეს საბოლოოდ ეხლავე.

„პოლიცია აქეზებს მუშა-ხალხს და თვითონვე ახდენს მუშები გაფიცვას, როგორც, მაგ, ტამბოვში, პოლიცია საშინლად სტანჯავს და აწამებს იმათ, ვინც თავისდა საუბედუროდ ჩაუვარდა პოლიციას ხელში. პოლიცია კერძო სახლებში და საზოგადო დაწესებულებებში შედის და ამ სახლებში მყოფ უიარაღო ხალხსა სცემს, როგორც მაგ., ნიჟნი-ნოვგოროდში, პოლიცია აქეზებს ხალხს ქუჩაში სცემონ საცოდავ ბავშვებს, როგორც, მაგ., კურსკში, პოლიცია გულზე ხელ დაკრეფილი არის გაჩერებული, როდესაც ხალხში ერთმანეთის ჟლეტაა გამართული, როგორც, მაგ., ბაქოში“.

ცხადია, დასძენს გაზეთი რომ ამნაირად საქმის დატოვება არ შეიძლება, საჭიროა სულ გავაუქმოთო ასეთი პოლიცია, რომელიც არ ასრულებს თავის მოვალეობას და მხოლოდ ხალხს სტანჯავს.

საჭიროა ქალაქ ადგილებში პოლიციის მოწყობა მივანდოთ თვით ადგილობრივ თვითმართველობას.

ეს უნდა მოითხოვონ ქალაქების წარმომადგენელთა მომავალ კრებაზე.

მაგრამ, საფიქრებელიც არ არის, მოხერხდეს ამ საქმის გადაცემა ხალხის ხელში, მანამ არ იქნება საზოგადოდ გამოცვლილი მთელი არსებული წესწყობილება.

გაზეთ „ნოვოსტში“ პ. ანდრეევი ამართლებს პეტერბურგელ სტუდენტების გადაწყვეტილებას, რომ უნივერსიტეტში შეწყვიტეს სწავლა 1 ენკენისთვემდის.

ამ გადაწყვეტილებას სტუდენტების უმეტესობი დაადგა და დაადგა იმიტომ, რომ არ შეიძლება რიგიანი სწავლა სწარმოებდეს უნივერსიტეტში, მანამ არ შეიცვლება ცხოვრების არსებული პირობები, მანამ არ შეიქმნება რუსეთის ყოველი მოქალაქე ნამდვილი სრულუფლებიანი ადამიანი, მანამ არ მიანიჭებენ მათ ყველა იმ უფლებებს, რომელიც არის აუცილებელი ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის, მანამ არ ექნება მას მინიჭებული აზრის, სიტყვის, ჟურნალ-გაზეთობისა და შეკავშირების სრული თავისუფლება, საჭიროა მიიღოს რუსეთის ხალხმა მონაწილეობა კანონმდებლობაში და სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაში. საჭიროა იყოს დაკმაყოფილებული ხალხის ყველა კანონიერი სურვილი და მთლად მაშინ შეიქმნება შესაძლო სწავლის გაგრძობაც უნივერსიტეტში.

„ვარშავსკი დნევნიკ“, ვარშავის გუბერნატორის ოფიციალი გაზეთიც, ლაპარაკობს ეხლანდელ მდგომარეობაზე და ეკითხება მკითხველს გაკვირვებული:

ახალ წესწყობილებაზე ლაპარაკობენ და ბიუროკრატიის გინებაში არიანო ყოველთვის.

ასე ჰგონიათ, ვითომც ბიუროკრატია ახრჩობდეს ყველაფერს, ვითომც იგი ძალად შემოდებული ყოფილიყოს რუსეთში.

ისეთი შეიქმნა მოდის ძალა, რომ ღამე იღვიძებს ადამიანი და ჰყვირის: მიშველეთ, მახრჩობსო ბიუროკრატია!

შეჩვია ხალხი ბიუროკრატიის გინებას; სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელე თუ არის თავისთვის და ასრულებს თავის კანონიერ მოვალეობას, ეუბნებიან, „უსაქმური ხარ, ჩინოვნიკიო“, და, თუ გაბედა და რითიმე გამოიჩინა ინიციატივა, უსაყვედურებენ „ბიუროკრატიული თვითნებობა“ არისო!

ჩინოვნიკი ყოველთვის დამნაშავეა. მაგრამ ვინ არის ეს ჩინოვნიკი? ისევე ის ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც რამდენისამე ხნის წინედ ატარებდა სტუდენტის მუნდირს. ეს ბიუროკრატები ახალგაზრდობაში ხომ იგივე განათლებული და მაღალ აზრებით გატაცებული ყმაწვილები ყოფილან და ეხლა მხოლოდ ტანისამოსი გამოიცვალეს.

ბიუროკრატიის ხელშია გაზეთი და, რასაკვირველია, ეცდება ბიუროკრატიის ქებას. ამიტომაც არის, რომ ამ გაზეთის აზრით ეხლანდელ მდგომარეობაში რუსულ საზოგადოებისათვის უმთავრესად არის საჭირო დაწყნარდეს ყველა,—არც კრიტიკა და არც იდეალიო.

რუსეთი

პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საბჭომ ფინანსთა მინისტრს წარუდგინა მოხსენება და სწერს, რომ, რადგანაც პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტები ვერ ჩამორჩებიან საერთოდ სტუდენტთა უმეტესობის გარდაწყვეტილებას და რომ განაგრძონ სწავლა, ეს აუცილებლად გამოიწვევს სტუდენტთა შორის არეულობას და პოლიციის ჩარევას, საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა: 1) ამ წლის ნახევარში პოლიტეხნიკუმში სწავლა აღარ დაიწყონ, 2) მომავალ წლიდან ჩვეულებრივად მიიღონ ინსტიტუტში სტუდენტები და 3) ეხლავე შეიმუშაონ დროებითი სამოსწავლო გეგმები და გამონახონ გზა მათი განხორციელებისათვის. («რ. უ.»).

მოსკოვის გუბერნიის საერობო კრებამ 17 თებერვალს თავის სხდომაზე დიდ-მნიშვნელოვანსა და საყურადღებო მოხსენებას დაუთმო ადგილი. სახელდობრ, კამათი იყო აღძრული წვრილი კრედიტის საერობო კასებზე. ამისთანა კასები დასავლეთ ევროპაში ძლიერ არის გავრცელებული და არსებითს დახმარებასაც უჩენს იქაურ ხელმოკლე საზოგადოებას. რუსეთის საფინანსო სამინისტრო დიდს მნიშვნელობას აძლევდა ამ საკითხს და სხვადასხვა განკარგულებით სურდა წვრილი კრედიტის კარგად მოწყობა. თავდაპირველად მას სურდა წვრილი კრედიტისათვის ცალკე განკერძოებული გამგეობა შეექმნა, მაგრამ უცნაური სისწრაფით შინაგან საქმეთა სამინისტროს შეხედულებას მიემხრო და ეს ცოცხალი საქმე ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადააქცია, საიდანაც განდევნილი იყო თვითმართველობის პრინციპი და ინტელიგენციის გავლენა და რომელიც სახელმწიფო ბანკის ზედამხედველობას ჩააბარა. ამნაირად ერობის მონაწილეობა ამ საქმეში სრულებით უარყოფილი იყო. სახელმწიფო ბანკის ხანგრძლივმა მოღვაწეობამ, ხმოსნის გერცენშტეინის სიტყვით, უფრო მსხვილ წარმოების ინტერესებისადმი მიდრეკილება და მიკერძოება გამოიჩინა და, როცა ბანკი მსხვილ მწარმოებლებს დიდის ხალისით უხსნიდა სესხს, წვრილ მწარმოებლებს საქმეს უძნელებდა და 6% სთხოვდა. წვრილი კრედიტის ასეთის მდგომარეობის მოსასპობად კრებამ საგუბერნიო გამგეობას დაავალა შეიმუშაოს შესაფერი მოხსენება და მომავალ კრებას წარუდგინოს. („რ. უ.“).

მაქსიმ გორკი, როგორც ეხლა აღმოჩნდა, რიგაში დაუჭერიათ 12 იანვარს სამ საათზე, ექვს საათზე უკვე პეტერბურგში ამოუყოფინებიათ თავი და 12 საათზე კი პეტრე-პავლეს ციხეში ჩაუმწყვდევიათ. პატარა და ცივ ოთახში მწერალი ავად გამხდარა: სატუსაღოში გორკის დაუწერია ახალი დრამა, ჰუმორითა და სარკაზმით სავსე, პოლიციის მოქმედების შესახებ. თავდებად გორკის დაუდგა მდიდარი ვაჭარი საბა მოროზოვი, რომელსაც შეუტანია სათავდებოდ 10,000 მანეთი. (ნოვოსტი).

კობეკოს თავმჯდომარეობით ამორჩეულს განსაკუთრებულს კომიტეტს მესამე სხდომაზე მსჯელობა ჰქონდა იმაზე, მიეცეს თუ არა ჟურნალ-გაზეთების გამოცემის უფლება ყველა მსურველს, თუ აწ არსებული წესი დარჩეს, რომელიც გამომცემლობის უფლებას სხვადასხვა განკარგულებით ავიწროვებსო. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, რომ სასურველია ძველი წესი მოისპოს და გაზეთის გამოცემის ნება ყველას მიეცესო. (რ. უ.).

გენ. ად. იგნატიევის თავმჯდომარეობით შემდგარს განსაკუთრებულს საბჭოს მინდობილი აქვს შეიმუშაოს გეგმა სახელმწიფოში წესწყობილების დაცვის დროს სამხედრო ძალისა და ჯარების მოხმარების შესახებ. (ნოვოსტი).

პეტერბურგში არსებულ **ამერიკის სარეზინო ქარხანაში** 6000 მუშას ორი კვირის წინად შეუწყვეტია მუშაობა; მუშების მდგომარეობა თურმე გულსაკლავია. ბავშვები თურმე შიმშილით იხოცებიან. სრული გაღატაკება მოელით მუშებს.

უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც 18 თებერვალს ებოძა შინაგან საქმეთა მინისტრს, ახალს ისტორიულ ხანას იწყებს რუსეთის ცხოვრებისას, რადგანაც მეფის ტახტიდან გამოცხადებული სურვილი—სახელმწიფოს მოწყობის საქმეში ხალხისაგან ამორჩეულ პირებს მონაწილეობას მივაღებინებთო—დასაწყისია იმ ცვლილებისა, რომელიც უნდა მოხდეს არსებულ წესწყობილებაში და რომელსაც ასე ერთხმად ითხოვს მთელი რუსეთის საზოგადოება. მეფის ამ სურვილს პირველი პასუხი გასცა მოსკოვის საერობო კრებამ, რომელზედაც ხმ. მანუილოვმა შემდეგი განცხადება წაიკითხა: დღეს, შესანიშნავ 19 თებერვალს, მოსკოვმა გაიგო, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და რუსეთს აცნობა სასიხარულო ამბავი: მსურს ხალხთან ერთად მუშაობით სახელმწიფოში წესრიგი დავამყაროო და ხალხის წარმომადგენლებს მონაწილეობა მივაღებინო საკანონმდებლო მუშაობაშიო.

რუსეთის მიწა-წყლის წარმომადგენლები, ცხა-

დია, სასიცოცხლო სიოს შეიტანენ სახელმწიფო წეს-წყობილებაში და რუსეთში მშვიდობიანობას დაამკვიდრებენ. მომავალ დღეს რუსეთის ისტორიისას ჩვენ, ერობა, უნდა დავხვდეთ ღრმა რწმენითა და უნდა მზად ვიყოთ, შევწიროთ ჩვენი ძალ-ღონე გამოცხადებულ ცვლილების მოხდენას და ჩვენდამი გამოცხადებულ ნდობას ნდობითვე გავცეთ პასუხი. გუშინდელი უმაღლესის უკაზის ძალით ერობას შეუძლიან და მოვალეც არის წარუდგინოს მინისტრთა რჩევას თავისი შეხედულება ამ საგანზე და თავისი წადილები.

კრებამ ამ მოხსენების შესამუშავებლად 10 კაცისაგან კომისია აირჩია, რომელსაც დაავალა, რაც შეიძლება მალე, თავისი მოსაზრების წარმოდგენა. ასეთივე სიხარული და იმედები გამოაცხადა პეტერბურგის გუბერნიის ერობამაც, რომელმაც 18 თებერვალს თავის სხდომაზე დაადგინა: შინაგან საქმეთა მინისტრის პირით ხელმწიფე იმპერატორის წინაშე გამოაცხადოს თავისი უქვეშევრდომილესი მადლობა რესკრიპტში საზოგადოებრივ ძალებისადმი ნდობის გამოთქმისათვის.

დღევანდელი პოლიციის გახრწნა.—აი დღიური ვარამი რუსეთის საზოგადოებისა. სხვადასხვა ადგილიდან, მთელ რუსეთიდან ყოველ დღე ამბავი მოდის, ამ გახრწნილების დამამტკიცებელი. ტამბოვში პოლიციამ მუშები წააქეზა გაფიცვის მოხდენაზე; პოლიციას თავის კედლებს ორმოდ აქცევს, საიდანაც თუ ერთხელ ჩავარდა კაცი, თავს ველარ დააღწევს, როგორც ეს არა ერთხელ დაუმტკიცებია ცხოვრებას; პოლიცია უვარდება კაცს ოჯახში, საზოგადო დაწესებულებებში და იქ უიარაღო ხალხს სცემს და არბევს, როგორც ეს ნიჟნი-ნოვგოროდში მოხდა; პოლიცია ამზადებს და აწყობს, როგორც ეს კურსკში მოხდა, ქუჩებში, ბავშვების ცემა-ტყეპას, პოლიცია სდუმს, როცა ქუჩებში ცარცვა-რბევაა, როგორც, მაგალითად, ბაქოში. („რ. უ.“).

ოსტროგორსკში მცხოვრებლები ღამე ქუჩაში გასვლას ვერ ბედავენ, რადგანაც სრულებით უმიზეზოდ პოლიცია მათ საპოლიციო ნაწილში მიათრევს. („რ. უ.“).

მოსწავლენი გაფიცულან მინსკშიც, სადაც 16 თებერვალს ყველა სასწავლებლების მოზარდ თაობას ქალაქის ქუჩები შემოუვლიათ ყვირილით და „ურას“ ძახილით. მოსწავლეთა ჯგუფში ბავშვების მშობლებიც მრავლად თურმე სჩანდნენ. (რ. უ.).

თეატრი და ხელოვნება

რუი-ბლაზი, დრამა ვიქტორ ჰიუგოსი.

ხუთშაბათს, 24 თებერვალს, კოტე მესხის საბენეფისოდ ქართულ დრამის ამხანაგობის არტისტებმა ჩვენი ნიჭიერი მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს ვ. ჰიუგოს 5 მოქმ. დრამა „რუი-ბლაზი“. ამ წარმოდგენით ამ სეზონში თავის მოღვაწეობა დაამთავრა ქართულ დრამის ამხანაგობამ.

ხუთშაბათის წარმოდგენამ ჩვეულებრივზე ცოცხლად ჩაიარა. პიესა მაინცადამაინც ბევრს საინტერესოს არას წარმოადგენს, როგორც შინაარსით, ისე იდეის (თუ კი აქვს) ხელოვნურად შემუშავების მხრით და მხოლოდ კარგად მომზადებულმა თამაშმა თუ მისცა რამე ინტერესი.

კარგი „რუი-ბლაზი“ იყო ვ. მესხიშვილი, რამდენადაც ეს ყალბ ნიადაგზე აშენებული როლი ნებას აძლევდა, თავისი ხელოვნური თამაშობა გამოიჩინა; კარგი იყო თავის სინაზით და გულწრფელობით ნ. ჩხეიძე (დედოფალი), კარგი იყო თვით მობენეფისეც იმ ადგილებში, სადაც არ მოიმღერებდა. დანარჩენებიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ. თეატრი სავსე იყო ხალხით.

ქ. ყ.

სასამართლო

არამიანცის საქმე.

23 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მიხეილ არამიანცისა, რომელსაც კაცის მოკვლის საქმე ჰბრალდებოდა. ამ საქმის გარჩევას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, მომეტებულად ქალები. სასამართლოს დარბაზში ბილეთებით უშვებდნენ. საზოგადოებისთვის საინტერესო იყო თვით მილიონერი არამიანცი და პეტერბურგელი ვექილი მირონოვი.

როგორც ბრალმდებლის ოქმიდან სჩანს, 1904 წელს 26 მაისს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში არამიანცი, პოლკოვნიკი გონჩაროვი, შტაბს-კაპიტანი შურინოვი და ალ. ციტოხცევი ქაღალდს თამაშობდნენ. ღამის 11 საათზედ დარბაზში შესულა ტფილისის მცხოვრები გრიგოლ განჯუმოვი, ჩქარის ნაბიჯით მისულა არამიანცთან და აღელვებულის ხმით უთქვამს: რატომ პასუხს არ მაძლევ ჩემ შემოკითხვაზედაო? ამ სიტყვებზედ უტაცნია ხელი, წაუქცევია და თავ-პირზე წაუსვამს რაღაც შავი, წებოსნაირი საღებავი. იქ მყოფ ციტოხცევს გაუშველებია მოქიდავენი და განჯუმოვი განზე გაუყვანია. ამ დროს გათხუპნული არამიანცი წამოვარდნილა ზეზე და ჯიბეში რევოლვერის ძებნა დაუწყვია. განჯუმოვს უთქვამს: რად ეძებ რევოლვერს, აქ ადგილი არ არის რევოლვერი გაისროლოო. ამ სიტყვებით განჯუმოვს წასვლა დაუპირებია. არამიანცს უსვრია, როდესაც განჯუმოვი გასავალ კარებს მიახლოვებია, მაგრამ ტყვია განჯუმოვს ასცდენია და კედელს მოხვედრია.

არამიანცმა, როგორც გამომძიებელთან, ისე სასამართლოში თავის თავს დამნაშავედ არ სცნობდა. „მოკვლის განზრახვა არ მქონდა, არ დამიმიზნებია, ისე ვესროლეო“.

განჯუმოვმა აუხსნა სასამართლოს ის გარემოება, რამაც აიძულა განჯუმოვი ამისთანა სასტიკი საქციელი ჩაედინა. როგორც ამის ნალაპარაკევიდან სჩანს, განჯუმოვს და ვიღაც ჯალალოვს აუღიათ თავ. დადიანების ტყეები იჯარით და, რადგანაც ფული არ ჰქონიათ, მიუმართავთ არამიანცისთვის ფულით დახმარებაზე. არამიანცს ფული მიუცია, მაგრამ პირობა დაუდვია, რომ წმინდა მოგებიდან 60% არამიანცისა უნდა ყოფილიყო და 50% განჯუმოვისა და ჯალალოვისა. გასულა რამდენიმე ხანი და არამიაცს და ჯალალოვს განჯუმოვისთვის უარი უთქვამთ საქმეში მონაწილეობაზე და მის მაგიერ დაუნიშნავთ განჯუმოვისთვის წელიწადში 3,600 მან., მაგრამ აღარც ეს ფული მიუციათ და თავი იმითი უმართლებიათ. რომ მოგების მაგიერ ამ საქმეში ვზარალობთო.

„ამნაირად—[illegible] განჯუმოვმა—ჩემი [illegible] საქმე ხელიდან გამომაცალეს და დამტოვეს სრულიად უნუგეშოდ. რა მექმნა? რაღა დამრჩენოდა? მილიონერთაბრძოლა მე არ შემეძლო, რითი გადამეხადნა არამიანცისთვის? მე გადავსწყვიტე შემერცხვინა არამიანცი ხალხში, რომ ყველას დაენახა, რა კაცია არამიანცი, და ამ აზრით 26 მაისს მივედი საარტისტო საზოგადოებაში და სახეზედ მური წავუსვი. მეგონა არამიანცი სასამართლოში მიჩივლებს შეურაცხყოფისთვის და ციხეში ჩამასმევინებს. რა უყოთ? მაგრამ ამის მაგიერ რევოლვერი მესროლა და ჩემი მოკვლა მოინდომა“.

მოწმების ჩვენება ერთი-ერთმანეთსა ჰგავდა, თითქმის ყველა ამტკიცებდა, რომ არამიანცს დამიზნება არ შეეძლო, რადგან სახე მთლად მომურული ჰქონდა და თვალით ვერას ჰხედავდაო. პირის დასაბანად მეორე ოთახში გასვლა თვითონ არ შეეძლო, ხელით გაიყვანესო, ჯერ ცივი წყლით ვბანეთ, მერე ცხელი წყლითა და, მური რომ ვერ გავაცალეთ, ნავთი მოვატავინეთო.

ბრალმდებელი ვერხოვი ამტკიცებდა, რომ აღელვებულ არამიანცს განჯუმოვის მოკვლა უნდოდა და იმიტომ ესროლაო და, თუ ვერ მოარტყა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვალით კარგად ვერ ჰხედავდაო. ბრალმდებელი სთხოვდა სასამართლოს დაესაჯათ არამიანცი. „საქმე იმაში კი არ არის—სთქვა ბრალმდებელმა—რომ თქვენ დიდი სასჯელი მისცეთ არამიაცს, საქმე იმაშია, რომ რამენაირად დასაჯოთ იგი, რადგან ამას თხოულობს საზოგადოება. ეს საზიზღარი საქმე მოხდა საარტისტო საზოგადოების დარბაზში, სადაც ჩვენ შეგვიძლიან შრომის შემდეგ დავისვენოთ და დრო გავატაროთ და საერთოდ ჩვენ პატივს უნდა ვსცემდეთ“.

ვექილი მირონოვი ამტკიცებდა, რომ განჯუმოვმა კი არ შეურაცხყო არამიანცი, ძალა იხმარა არამიანცზედაო. არამიანცმა დაიცვა თავის თავი და რევოლვერი გაისროლა, მაგრამ განჯუმიანცს კი არ ესროლა, ისე ჰაერში გაისროლაო.

სასამართლომ ერთი საათის ბჭობის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც არამიანცი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა, ყოველივე უფლების ჩამორთმევა და საპატიმრო რაზმში 8 თვით გაგზავნა. მაგრამ დაადგინა, ეთხოვოს ხელმწიფე იმპერატორს, რომ ეს სასჯელი 2 თვით ციხეში დაპატიმრებით შეეცვალოსო.

ბიბლიოგრაფია

ე. ნინოშვილი, გოგია უიშვილი, სომხურად ნათარგმნი ყ.კ-ს მიერ. ტფილისი, 1905 წ.

რედაქციამ მიიღო ზემოხსენებული წიგნაკი. რომელიც დაბეჭდილია ძლიერ ფაქიზად, შეიცავს 40 გვ. და ღირს, შედარებით, იაფად, 8 კაპ. როგორც ამ წიგნიდან სჩანს, ბ-ნს ყ. კ-ს განუზრახავს სომხურად ბეჭდოს ქართველ მწერალთა ნაწარმოებნი: უკვე გადუთარგმნია და დაუბეჭდია ია ეკალაძის, დუტუ მეგრელის, ა. ყაზბეგისა, თ. ხუსკივაძის და სხვათა ნაწერები. ფრიად სასიამოვნოა ასეთი მოვლენა. ბ-ნი ყ. კ. თვალსაჩინოდ დაეხმარება სომხებისა და ქართველების ერთმანეთთან დაახლოვებას. მწერლობაში იხატება ერის სული და გული, მდგომარეობა და მისწრაფება. ურიგო არ იქნებოდა, ჩვენშიაც გამოჩენილიყო ვინმე სომეხ მწერლების ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი. სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, ასე ორთმანეთში ვსცხოვრობდეთ და ურთიერთის მწიგნობრობას კი არ ვიცნობდეთ; ბ-ნი ყ. კ-ი მისაბაძ მაგალითს, გვაძლევს და ვუსურვებთ კიდეც, რომ დაწყებული საქმე მას-მხნედ განეგრძოს.

—

მ. ვ. ნიკოლსკი. Клинообразныя надписи Закавказья.

„სოლისებური წარწერები ამიერ-კავკასიაში“—ამ სათაურით დაიბეჭდა ვრცელი გამოკვლევა პატივცემულ მ. ვ. ნიკოლსკისა, ამ შრომას უჭერია მთელი მე-5 გამოცემა არქეოლოგიურ საზოგადოების მასალებისა (Матеріалы Археологіи Кавказа). ავქსონის გამოკვლევა შეეხება 32 სოლისებურს წარწერას, რომელიც აღმოჩნდა შემდეგს ადგილებში: ტაშბურუნს, არმავირს, გალინჯას, სარიყამიშს, ყანდი-თაფას, ეილარს, ორდაქლუს, ათამხანს, ზახალუს და სხ. წიგნში ჩართულია თვით წარწერების ტექსტიც. მკითხველმა უკვე იცის, რომ ეს წარწერები ეკუთვნის ვანის მეფებს—მენუას, ურზას, არგისტის, სარდურის და სხ., რომელთა წარწერები ვანსა და მის არემარეზე ბლომად აღმოჩნდა. ყველა ეს წარწერები ამოჭრილია სალს კლდეებზე და აგრედვე შენობათა ქვებზე. ეხლახანს მოწამეთიდანაც ჩამოიტანეს კიდევ პირი ერთის წარწერისა, რომელიც აგრედვე სოლისებურია. იგი წასაკითხავად გაეგზავნა სპეციალისტს ბ-ნ ნიკოლსკის. წარწერა ამოჭრილი ყოფილა პატარა ქვაზე, რომელიც შემდეგ ჯვრის სამკაულად მოუხმარიათ. ქვაზე უთუოდ წარწერილი უნდა იყოს სახელი რომელისამე მეფისა ან დიდებულისა.

ვანის სოლისებურ წარწერების კითხვის საიდუმლო ჯერ ზედმიწევნით არ არის გამოცნობილი. მას კითხულობენ მსგავსად ანუ მიბაძვით იმ სოლისებურ წარწერებისა, რომელიც ამოჭრილია ასურულ და ძველ სპარსულ ენებზე. ამ უკანასკნელების წაკითხვა გაადვილდა მით, რომ ერთი და იგივე ტექსტი აღმოჩნდა სამს ენაზე: სპარსულად, ასურულად და ელამიტურად. ამათ ესრეთი ხერხი წერისა გადმოღებული ჰქონიათ შუამდინარეთ ბინადარ ერის სუმერებისაგან. 100,000-ზე მეტი სოლისებური წარწერა ამ ენებზე დღეს ამშვენებენ ევროპისა და ამერიკის მუზეუმებს. ეს წარწერები უკვე კარგად შესწავლილია და შემუშავებელი.

ჯერხნობით აღმოჩნდა მხოლოდ ერთად-ერთი სოლისებური წარწერა ვანის მეფეებისა ორს ენაზე: ვანურსა და ასურულზე—და ესეც მცირე მასალას შეიცავს შედარებისთვის, ვანურ ენის ზედმიწევნით შესწავლისა და შეთვისებისთვის. თუმცა ამ წარწერების წაკითხვის საქმე ამ მდგომარეობაშია, მაგრამ ბევრს გამოჩენილს მეცნიერს ვანური ენა ძველ ქართულ ენად მიაჩნია. თვით მ. ვ. ნიკოლსკი ამავე ენის შესახებ თავისს აზრს გამოსთქვამს ასე: „ზოგი თითოეული მოვლენა, მსგავსი ვანურსა და ქართულში, ჯერ არ გვაძლევს უფლებას დავადგინოთ ერთობა მათ შორის, თუმცა ასეთი ნათესაობა შესაძლოდ მიაჩნიათ ხსენებულ წარწერების თითქმის ყველა მკვლევართ იმის გადაჭრით თქმა კი ახლავე შეგვიძლიან. რომ ვანის ეროვნებასთან არავითარი ნათესაობა არ ჰქონია სომხებს, რომელნიც შემდეგში ჩასახლებულან არარატიანის არემარეზე“.

ვანური ენა ჩვენც ძველ ქართულ ენად მიგვაჩნია თვით ქართლის ცხოვრების გადმოცემაც გვეუბნება, რომ თავდაპირველად ქართლოსიანი ვან-არარატის არემარეზე ცხოვრობდნენ და იქიდან გადმოსახლდნენ აწინდელს საქართველოშიო. ამას მოწმობს აგრედვე სახელი ვანის ერისა—ურარტუ=ურასტუ. ეს სახელი, როგორც უკვე ჩვენ განვმარტეთ, უახლოვდება ვრასტანს (ვრასტან—სომხურად საქართველო).

ვანის მეფეებს ებრძოდნენ ასურეთის ხელმწიფეები—მე-XIV—XII საუკუნიდან ქრის. წინად. ერთს დროს მათ შორის ისეთი მწვავე და მედგარი ბრძოლა იყო, რომ მსოფლიოს ხელმწიფობა იმას უნდა დარჩენოდა, რომელიც საბოლოოდ გაიმარჯვებდა. მებრძოლ ასურთა ბედი ბეწვზედ-ღა ეკიდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვეს და საშიში მტერი მის მოკავშირეებითურთ ჩრდილოეთისკენ განდევნეს.

ამასვე უნდა იგულისხმებდეს ქართლის ცხოვრებაც, როდესაც ამბობს, ნებროთს მოსისხლედ გაუჩნდნენ ქართველნი, სომეხნი და კავკასნიო, წინააღუდგნენ და მედგრად შეებრძოლნენ, კიდეც დაამარცხეს და მოჰკლესო.

ამას და ამგვარ კითხვებს უხვად ნათელი მიეფინება, როდესაც მეცნიერება ზედმიწევნით შეისწავლის ვანურს წარწერებს. ეს ჩვენი რწმენაა.

ვანურ ენის შესახებ ჩვენ ვამზადებთ ცალკე წერილს ამას კი ეხლავე ვიტყვით, რომ, ვინც არ იცის ძველი ქართული და მეგრულ-სვანური კილოკავები, ვანური ენა მისთვის უოველთვის მიუწდომელი ამოცანა იქმნება.

მ. ჯანაშვილი.

კორესპონდენცია

აჭარა. სოფლის ყრილობა.

ზემო-აჭარაში ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს იანვარშივე. ქვემო-აჭარაში-კი—მხოლოდ თებერვლის პირველ რიცხვებში, შეჰფიცეს ერთმანეთს სხვაგანაც. 1 თებერვალს ს. ქედაში შეგროვდა აუარებელი ხალხი გარშემო სოფლებიდან. ილაპარაკეს ერთმანეთში და გადაწყვიტეს დაეკეტათ ს. ცხმორისში კანცელარია. პირველში ნახეს 42 დაშაშხული ქათამი, ლომად ნიგოზი და ვაშლი, აგრედვე ქათმები და სხვა სანოვაგეც. მეორე კანცელარიაში ხალხი უყვიროდა,—ჩვენ ღობიომ დაგვიღუპა მუცელი და ერთმა ან ორმა რად უნდა შეჭამოსო მთელი სოფლის შემოსავალი. მიიყვანეს ხოჯა და ისიც დააფიცეს ხალხის ერთგულებაზე. ამასობაში მოუსწრო ბათუმიდან ჩამოსულმა ოლქის უფროსმა და ბატი ტიეფან-ბეგმა და ჯამილ-ბეგმაც. ოლქის უფროსმა ჰკითხა ხალხს: რატომ ხართ ასე აღელვებულნიო. თუმცა სათქმელი ბევრი ჰქონდა ხალხს, მაგრამ ოლქის უფროსის დაკითხვაზე მხოლოდ რამოდენიმე მიზეზი დაუსახელა: არ გვინდაო სოფლის კანცელარიები, გვინდა ტყეში ხის მოჭრა ყველასათვის იყოს უსასყიდლოდ ნება-დართული, რატომ არისო ნავთზე ისეთი დიდი გადასახადი, რომ მის ყიდვასაც ვერ ვახერხებთო. ბოლოს დაუმატეს, არ იფიქროთ ვინმე გერძო კაცისაგან ვიყოთ დარიგებული, რასაც ვამბობთ საკუთარის მოფიქრებით ვამბობთო. ოლქის უფროსმა იკითხა, აბა ასე თუ არის, ადრე რატომ არ გითქვამთ არაფერიო. ხალხმაც უპასუხა, არ გვინდოდა უსიამოვნების ჩამოგდება, მაგრამ შეგვაწუხა ხარჯის გადახდამ. გავდატკდით და ხსნა არსაიდან სჩანს, ერთი აგვიხსენით და გვითხარით, საიდან შეუძლია სოფელს ამოდენა გადასახადის ატანა, სად არის შესაფერი მოგებაო.

ოლქის უფროსმა ყველას საიმედო დაპირება მისცა, მაგრამ ხალხმა არ იკმარა სიტყვიერი დაპირება,—წინედაც ხშირად გაგვიგონია ასეთი დაპირება და საქმით კი არაფერი არ გამოსულა მაინცო.

ამ ყრილობებზე თავი იჩინა ხალხის ორ მოპირდაპირე დასად გაყოფამ. ოლქის უფროსმა მოსვლისთანავე გამოიწვია სალაპარაკოდ ოთხი დაბალი, ღარიბი კაცი,—რაც გინდათ ილაპარაკეთ, ლაპარაკის ნება ყველას გაქვთ თანასწორიო. ეს არ მოეწონა ბეგებს და აღებს, უოველთვის ჩვენ ვიდექით სოფლის სათავეში, სოფლის მაგიერად ჩვენ ვლაპარაკობდით და ეხლა გადაბრუნდა სოფელი, ის უბრალო ხალხიც თამამად ელაპარაკება უფროსებს და თავის საჭიროებების დაკმაყოფილებას თხოულობსო. ზოგიერთი ორცოლიანიც შიშობდა, ჩვენ ერთი ორად გადაგვახდევინებენ უღელ გადასახადსო.

ამ აღებმა და ბეგებმა უოველნაირი საშუალება იხმარეს იმისთვის, რომ არ მიეცათ ხალხისთვის ყრილობებზე ლაპარაკის ნება,—ჯერ არ ვიცით რა მოახერხეს მთავრობასთან ამ აღა-ბეგებმა.

ს. გ.

—

ერევანი, 20 თებერვალს. დღეს, დილის 11 საათზე ქ. ერევანში ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა, რომელიც ბაქოში მომხდარ ამბავს ემგზავსება, ე. ი. მოხდა თათრებისა და სომხების შეტაკება და სისხლის ღვრა. სანამ ადგილობრივი ადმინისტრაცია რაიმე საშუალებას იღონებდა, გენერალმა ორბელიანმა საჩქაროდ ჯარი გამოიწვია აღელვებულ ხალხის გასაფანტავად. ჯარის მეოხებით შეიარაღებული ბრბო დაიშალა და, როცა პოლიციელები მოზრძანდნენ, მოედანი უკვე დაცალიერებული იყო. აღმოჩნდა, რომ ოთხი,—ორი თათარი და ორიც სომეხი, მომკვდარიყო. ამბობენ, რომ ორივე ერისაგან დაჭრილი ათამდე არისო. ქუჩებში ჯარის-კაცები და დარაჯები თოფებით დადიან და აქაიქ მოგროვებულ ხალხს ერეკებიან და ჰფანტავენ. 11 ნახევარს საათზე ერევნის გუბერნატორი, ქალაქის თავი თათრებისა და სომხების წარჩინებულნი პირნი დადგნენ ბულვარდთან და წარმოსთქვეს მრავალი სიტყვა აღელვებულ ხალხის დასამშვიდებლად. სწორედ $12^1/_2$ საათზე სრული სიჩუმე სუფევდა ქ. ერევანში, მხოლოდ აქა-იქ გროვდებოდა ხალხი, რომელსაც ჯარი ჰფანტავდა. ამბობენ, რომ თათრები მუქარით მიდიოდნენ შინ, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა, თათრების უმეტესობას იარაღი არა ჰქონია და სომხები კი პირველ გაგონებაზედვე ბერდანკებით, ხანჯლებითა და რევოლვერებით გაიქცნენ არეულობის ადგილისაკენ. ამიტომ თათრები მოსამზადებლად წავიდნენ თავიანთ სახლებში, თორემ ასე ადვილად ამღვრეულ ხალხს ჯარი ვერ [illegible]. დილის შიშში არიან ჩავარდნილი ერევნის მცხოვრებნი, ვაი თუ ბაქოს ამბები აქაც განმეორდესო. შუადღისას შეგროვდნენ სომეხთა და თათართა წარჩინებულნი პირნი ხალხის დასამშვიდებლად. მოლებმა მიიწვიეს მორწმუნენი მეჩეთებში და სომხებმაც თავიანთ ეკკლესიებში და დამშვიდებას უქადაგებდნენ. გვარწმუნებენ, რომ ღონისძიებაა ნახმარი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლადო და ჩვენც ყველამ, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, სულით და გულით უნდა ვისურვოთ და ვეცადოთ კიდეც ბაქოს შემზარავი სისხლის ღვრა აქაც არ მოხდეს და კავკასიის ხალხს კიდევ ერთი ახალი ჩირქი არ მოეცხოს, რაიცა შემლახველია კავკასიის სახელისა და ძირის გამომთხრელია ჩვენი ქვეყნის საერთო ინტერესებისა.

მარტვილელი.

—

დ. ხობი. (ზუგდიდის მაზრა). ფოსტაზე თავდასხმა.

დღეს, 22 თებერვალს, ხობში ჩამოვიდა სენაკიდან ზუგდიდში მომავალი ფოსტა, რომელსაც მარტო ერთი ცხენი-ღა ება. ამ უჩვეულო მოვლენამ მთელი დაბა ფეხზე დააყენა და ფოსტის განყოფილების სადგურზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. თურმე სოფელ თეკლათში, სადაც რკინის გზის ლიანდაგის გადასავალია, ფოსტას დახვედრია 15-მდე შეიარაღებული კაცი პირველად უსვრიათ ცხენით წინ მიმავალ დარაჯისათვის, რომელსაც ტყვია ასცდენია, მერე ტყვიით მოუკლავთ ერთი ცხენი ფოსტისა. ფოსტალიონსა და დარაჯს პასუხი გაუციათ ტყვიით. ფოსტალიონის სიტყვით, ერთი ავაზაკთაგანი მოკლული უნდა იყოს. ადგილობრივი ბოქაული მაშინვე წავიდა იმ ადგილს, სადაც ეს ამბავი მოხდა.

მ. გვალია.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

25 რებერვალი.

ტოკიო. პორტ-არტურიდან მოსულმა აფიცერმა სთქვა, შესაძლოა აგვისტოში ამოიღონ რუსის ორი ჯავშნოსანი და ორი კრეისერიო.

სეული. რუსების რაზმები, რომებიც ჩრდილო-კორეიაში იყვნენ, თანდათან ვლადივოსტოკისკენ იწევევენო.

ლონდონი გაზეთებში ოფიციალური ცნობა დაბეჭდილი, ბალტიის ესკადრის ყველა რაზმები ლამანშისკენ დაბრუნდებიან და ბრძანებას მოუცდიან.

ჰამბურგი. რუსეთისაგან დაქირავებული ოთხი გემი ჯერ ისევ ჰაბურგის ნავთსადგურში არიან. „პალატია“ და „ფენიცია“ ლიბავას მიდიდიან და მერე ისევ ჰამბურგს დაბრუნდებიან.

მუკდენი. ის ქალი, რომელმაც თავი მოიკლა, გაუსმანის გასათხოვარი ქალი ყოფილა რიგიდან.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება: გაზეთს „ვეჩერნაია პოჩტას“ გამოეცხადოს პირველი გაფხილება და ცალკე ფურცლებით გაყიდვა აეკრძალოს.

ვენა. იმპერატორმა ინახულა უნგრეთა პალატის ვიცე-პრეზიდენტი, რომელთანაც ბჭობა ჰქონდა ოპოზიციისაგან წარდგენილ სამხედრო პროგრამის შესახებ. შემდეგ იმპერატორმა ზიჩი მიიღო.

ზაგრებ. ხორვატიის დეპუტატებმა განაცხადეს, თუ ჯარში უნგრული ენა შემოიღეთ, ჩვენც მოვითხოვთ, რომ ხორვატიის პოლკებშიც სწარმოებდეს ბრძანება-განკარგულება სამშობლო ენაზე.

სოფია. ავსტრიამ სურვილი განაცხადა სავაჭრო ხელშეკრულობა დასდოს ბულგარიასთან. ამიტომ მთავრობას ჰგონია, ხელშეკრულობის დადება სხვა სახელმწიფოებთანაც შეიძლებაო.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ გუშინ მიიღო დეპუტაცია, რომელიც შუამდგომლობს სკოლის საქმის მოწყობის შესახებ პოლონეთის ნახელმწიფოში. შუამდგომლობის შინაარსი მოახსენა გრაფ ტიშკევიჩმა და შემდეგ საქმე განმარტეს კიევსკიმ, ხრჟანოვსკიმ და პარგოვსკიმ. თავმჯდომარემ მიიღო შუამდგომლობის ქაღალდი.—ე. ბოდდანოვიჩის ახალ გამოცემას ავრცელებენ, რომელშიაც დაბეჭდილია მოსკოვის თავად-აზნაურობისა და კოსტრომის გლეხების ადრესები და მამა იოანე კრონშტადტელის ეპისტოლე მანჯურის ლაშქრების ჯარის კაცებისადმი. წიგნაკში აღბეჭდილა სურათი ხელმწიფე იმპერატორის და მემკვიდრე ცესარევიჩისა.

კრემენჩუგი. ექვს ახალ საავადმყოფოს დაარსებას შეუდგნენ მანჯურიის ლაშქრისათვის.

კიევი, 24 თებ. უნივერსიტეტის პროფესორთა კომისიამ ერთხმად გამოსთქვა, მოსპობილ იქმნას მალოროსელთა ენის შემავიწროვებელი ზომები. შაქრის მწარმოებელთა კრებამ დაადგინა, ფინანსთა მინისტრსა სთხოვოს ხელმწიფეს განუცხადოს სიხარული და მადლობა 18 თებერვალს ბოძებულ რესკრიპტისათვის.

კოვნო, 24 თებ. მთელის მხრის მთავარ უფროსის სავალდებულო დადგენილებით, ვილნოს კოვნოსა და გროდნის გუბერნიების ქალაქებსა და დაბების ყველა სახელოსნოებსა და სამრეწველოებში უნდა გამოკიდულ იქმნას უფროსის მიერ ცხრილი სამუშაო დროისა, მუშაობის დაწყებასა და დათავებაზე, რათა სამუშაო დრო არ აღემატებოდეს ათ საათს. სამრეწველოები ვალდებულნი არიან იქონიონ მოსამსახურეთა და მუშათა ნამდვილი სიები.

ტფილისი, 24 თებ. სამტრედიის ბაზარში ბერდანით მოჰკლეს ამ დღეებში დანიშნული ბოქაული ჩიკვაიძე. მკვლელნი მიიმალნენ.

ბათუმი, 24 თებ. მეგემეთა აგენტებმა დაიქირავეს მუშები შეთანხმებულის პირობით. ბარცხანის ნაწილი, სადაც მუშები ცხოვრობენ, დაიცალა. მუშების უმეტესობა წავიდა. რკინის გზის მოძრაობა თანდათან წესიერდება.

ვარშავა, 24 თებ. საღამოს შვიდ საათზე, რკინის გზის ქუჩაზე, უცნობმა მუშამ მძიმედ დასჭრა ბოქაული რაზსტეგაევი. ბოქაულმა ორჯელ ესროლა, მაგრამ ააცდინა. დაჭრილი საავადმყოფოში დააწვინეს.

სოხუმი, 24 თებ. დილის 11 საათზე ოლქის უფროსს პოლკოვნიკ პროტოპოპოვს, როცა ფოსტიდან მოდიოდა, ორმა უცნობმა კაცმა ესროლა რევოლვერი, მაგრამ ააცდინეს და [illegible] მალნენ.

ვაშინგტონი, 23 თებ. (რეიტერი). სენატის კომისიამ მოიწონა სან-დომინგოსთან დადებული ხელშეკრულება, ხოლო მაგადგა შესწორა.

ბერლინი, 24 თებ. გერმანიის კრონ-პრინცის და პრინცესა მეკლენბურგ-შვერინელის ქორწინება მოხდება ბერლინში 24 მაისს.

სოფია, 23 თებერვალს. მთავრობამ დაავალა ბულგარიის წარმომადგენელთ საზღვარ გარედ, [illegible] უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს, რომ პორტა უსაბუთოდ აბრალებს ბულგარიის კაბინეტს, ვითომც ის ხელს-უწყობს მაკედონიის აჯანყებულებს. პირიქით, მთავრობა თავდაჭერით [illegible] მაკედონიას, ხოლო ღონისძიებას მიიღებს საზღვრების დასაცველად. სტამბოლის ცნობები მაკედონიის კომიტეტების დიდ მზადებაზედ [illegible], თუმცა მაკედონიის [illegible] თანდათან ძლიერდება. ოსმალეთის კომისარიაზისაგან სოფიიდან გაგზავნილი ცნობები გაზვიადებულია. მაკედონიის წრეები და მთავრობანი ჰფიქრობენ, რომ დიდი მოძრაობა მოსალოდნელი არ არის, თუმცა გაზაფხულზე შესაძლოა აჯანყებულთა რაზმები იმოქმედონ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ღამის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევს 3 ს. 05 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 შუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 [illegible] ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 ბათ.-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს [illegible] ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი [illegible] ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამალიც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

ქალაქის სამკურნალო განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი [illegible].

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. [illegible].

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი [illegible]. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თელის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, [illegible] ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე [illegible].

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის უფასოა, იმყოფება კუკიის [illegible] ზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სოფლის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში 12 მ. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულოლიანცი.

ქ 1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible] ქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 февраля 1905 г.
ელექტრონითმბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.